

პრესომბუდსმენი
A3



გათავისუფლებული აბჯა, შესაძლოა, კვლავ ციხეში დააბრუნონ
A4



იუდას რეაბილიტაციას იწყებენ
A8


# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 16 იანვარი, 2006 წელი. №7 (1159)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### "ელექტროკავშირის" აბონენტებს სხვა აბონენტებთან დაკავშირება კოდის გარეშე შეუძლიათ

სხვა კომპანიების აბონენტებს დროებით კვლავ 8-22 გამსვლელი კოდის მეშვეობით დაუკავშირდებიან. წუთობრივი მომსახურების ტარიფი იგივე რჩება, 1 წუთი - 2 თეთრი.

A2

## სამართალი

### ციხეებში ამანათების შეგზავნის პროცედურა მკაცრდება

პატიმრებისთვის შესაგზავი ამანათების სია საგრძნობლად შემცირდება. სასჯელაღსრულების დაწესებულების თბილისის N7 საპყრობილის დირექტორის მოადგილის სერგო ხულორდავას განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაიკვრება იმ ნივთების სია, რომელთა შეტანა დაწესებულებებში დასაშვები იქნება.

A4

## სამართალი

### ხმაური დამწვარი ლეიბების გამო

გუშინ დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორთაჭალის საპყრობილის კარცერის ტერიტორიაზე მხუთავი კვამლი გაუშვეს. ამავე ინფორმაციის მიხედვით, მხუთავი კვამლის გამო პატიმრებს, მათ შორის შალვა რამიშვილსაც, სუნთქვა უჭირდათ და მათ ციხის ადმინისტრაციისგან სასწრაფო რეაგირება მოითხოვეს.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 16/01 | 17 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 1 | 7 |
| ტყიბული | 2 | 7 |
| სოხუმი | 2 | 6 |
| დმანისი | -8 | -1 |
| გორი | -2 | 5 |
| ონი | -7 | 1 |
| ზუგდიდი | 4 | 7 |
| ახმეტა | 1 | 7 |
| გაგრა | 2 | 5 |
| სამტრედია | 4 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1744 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1820 |
| რუბლი | 0.0633 |


ამბები A 2
პრესომბუდსმენი A 3
სამართალი A 4
რეკლამა A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8


# მე, ელენე, მარიამი და ჩვენი საქრებულო

სოფიო თოდუა

*ალბათ, გინახავთ ბავშვი, ცხოველების წვალება დიდ სიამოვნებას რომ ანიჭებს. საცქერლად არც ისე ადვილია, კიდევ უფრო ძნელია, ასეთ ყმაწვილს ნოტაცია წაუკითხო. ვერ გეტყვით, საიდან მოდის ასეთი სისასტიკე, მაგრამ ასე მგონია, ზოოპარკში ხშირად რომ ეტარებინათ, ეს ბავშვები სხვაგვარად მოიქცეოდნენ.*

ჩვენს ოჯახში ორი გოგო იზრდება - სამი წლის ელენე და ორი წლის მარიამი. ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან. ერთს ხალხში ყოფნა სიამოვნებს და უცხოობა არ სჩვევია, მეორე - გულჩათხრობილია და მარტო თამაშს ამჯობინებს. სხვაობის მიუხედავად, საერთოც ბევრი აქვთ. როგორც ყველა ნორმალური განვითარების ბავშვს, მათაც უყვართ ცხოველები. მას შემდეგ, რაც სოფელში ცოცხალი ბეკეკა, ბოჩოლა და გოჭი იხილეს, ბებოს იმ ზღაპრების მოყოლას სთხოვენ, რომლის პერსონაჟებიც ცხოველები არიან.

გაგრძელება A2 გვერდზე



*ზოოპარკის დამთვალიერებლებს გალიების სიახლოვეს განლაგებული ატრაქციონები უფრო იზიდავთ.*

# ექსპედიტორებისთვის კანონი მკაცრდება

## გააძვირებს თუ არა ახალი კანონი ტვირთების გადაზიდვას?

*"საავტომობილო გზებისა" და "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების" შესახებ კანონში შესული ცვლილებები ექსპედიტორ კომპანიებს ზოგიერთ წესებს უმკაცრებს. აღნიშნული ცვლილება, რომელიც ძალაში 18 იანვრიდან შედის, გადამზიდავებს გადაზიდული ტვირთების მოცულობაში გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. ეს კი, ექსპედიტორთა ნაწილის მტკიცებით, ჩვენს ქვეყანაში ტვირთების რაოდენობას მნიშვნელოვნად შეამცირებს, რასაც ამ ცვლილებების ავტორი, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, კატეგორიულად უარყოფს. სამაგიეროდ, გადაზიდვების ღირებულების გაძვირებას არ გამორიცხავს.*

ეთერ მამულაშვილი

"საავტომობილო გზებისა" და "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონში ზემოთ ხსენებული ცვლილებები პარლამენტმა გასული წლის მიწურულს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით შეიტანა. უფრო კონკრეტულად, რას ითვალისწინებს ეს ცვლილებები და უშუალოდ ვის შეეხება: კანონით, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა თითოეულ ღერძზე დატვირთვა 10 ტონას არ უნდა აღემატებოდეს, გადასაზიდი ტვირთის წონა კი ქარხანა-დამამზადებლის მიერ სატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, ხოლო ავტოტრანსპორტისა და გადასაზიდი ტვირთის საერთო წონა - 44 ტონას. ის მძღოლები, რომლებიც ხსენებულ ნორმებს დაარღვევენ, ყოველი ზედმეტი 1 ტონა ტვირთის გადატანისთვის 1000 ლარით (2 ტონა 2000 ლარია და ა.შ.) დაჯარიმდებიან - ამას უკვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს.

რატომ გახდა აუცილებელი მოქმედ კანონმდებლობაში ასეთი ცვლილებების შეტანა? ამის აუცილებლობას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: **"ამ ბოლო დროს საავტომობილო გზებზე გადაზიდული ტვირთების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. განსაზღვრულზე მეტად დატვირთული ავტომობილები კი მნიშვნელოვნად აფუჭებენ გზებს და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანს აყენებენ."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნიუ იორკის ორფეოსი ვუდი ალენი 70 წლისაა

მელორ სტურუა
*სპეც. კორ. აშშ-ში*

ორშაბათობით მედისონ-ავენიუზე, კაფე "კორლაილ-ში" ვუდი ალენი თავის პატარა ორკესტრთან ერთად კლარნეტზე უკრავს. ეს არც მისი სამუშაოა და არც ჰობი. ამით არც ფულს აკეთებს და არც ერთობა. ეს ნოსტალგიაა, რომელიც ნიუ იორკს, ჯაზის ქალაქს აგონებს. ზოგჯერ ვუდი კლარნეტს გვერდზე გადადებს და გამორთულ მიკროფონში მღერის. კაფეს სტუმრები ყურთასმენას ძაბავენ, რომ რაიმე მაინც გაიგონ, მაგრამ ვუდი მაინც უმიკროფონოდ მღერის. მას სურს, რომ ხალხმა დიდი ტალანტის უძლური ხმა გაიგონოს. ეს ინტიმგარემოება ჩაპლინს გვაგონებს. ალენი ნიუ იორკის მომღერალია, როგორც დიკენსი - ლონდონის, ბალზაკი - პარიზის, დოსტოევსკი - პეტერბურგის.

გაგრძელება A7 გვერდზე



*ვუდი ალენი*

# საქართველოს ელჩი რუსეთს ეუთო-ში უჩივის

საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს განცხადების ტექსტს, რომლითაც ეუთო-ში საქართველოს ელჩი ვიქტორ ნოზაძე ამ ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე გამოვიდა. ქართველმა დიპლომატმა ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს კარელ დე გუხტს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

**"სამწუხაროდ, რუსეთის მხარე საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სამშვიდობო გეგმას არარსებულს უწოდებს. დიპლომატიური არათანამიმდევრულობის ეს უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც რუსეთის მხარე არ აღიარებს სამშვიდობო გეგმას, რომელსაც, სულ რაღაც, ერთი თვის წინ მხარი დაუჭირა და ხელი თავად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოაწერა, დამატებით საფუძველს გვაძლევს, ეჭვქვეშ დავაყენოთ რუსეთის მიერ კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში ობიექტური და მიუკერძოებელი შუამავლის როლის შესრულების უნარი. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სამშვიდობო გეგმის დებულება, ერთობლივი საკონტროლო კომისიის ფორმატის შეცვლის აუცილებლობასთან დაკავშირებით, კვლავაც უკიდურესად აქტუალურია,"** - განაცხადა ვიქტორ ნოზაძემ.

იგი ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს წევრებს შეახსენებს, რომ რუსეთის ფედერაციამ, ეუთო-ს სხვა 54 წევრ სახელმწიფოსთან ერთად, მიიღო განცხადება საქართველოს შესახებ, რომელშიც ყველა მხარე, რუსეთის ფედერაციის ჩათვლით, იზიარებს იმ აზრს, რომ სამშვიდობო გეგმა "კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საფუძველს წარმოადგენს."

ვიქტორ ნოზაძის თქმით, ქართული მხარისთვის ძალზე ძნელია, სამშვიდობო გეგმა მისაღები გახადოს და შეუთანხმოს ოს პარტნიორებს იმ დროს, როდესაც რუსეთის ფედერაცია, მხარეთა შორის შუამავლის როლის შესრულებისას, კვლავაც მერყევ პოზიციას ინარჩუნებს.

**"მოვუწოდებთ რუსეთის მხარეს, მომავალში არა მხოლოდ თავი შეიკავოს ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებებისაგან, არამედ ურჩიოს სამხრეთ ოსეთის მხარეს, დაიწყოს თანამშრომლობა და აქტიურად შეუწყოს ხელი სამშვიდობო პროცესს. ეს მომავალში თავიდან აგვაცილებს ისეთ აბსურდულ ქმედებებს,**

გაგრძელება A2 გვერდზე

# გაერო საქართველოს "ტამი-ფლუს" მარაგის შექმნას ურჩევს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია "ფრინველის გრიპის" პანდემიას არ გამორიცხავს. გაერო-ს კოორდინატორები ვირუსთან ბრძოლის საკითხში კი აღნიშნავენ, რომ პანდემიის მზადებისთვის, პირველ ეტაპზე მილიარდნახევარი დოლარია საჭირო. ამ თანხების მოძიებას გაერო 17-18 იანვარს პეკინში დაგეგმილ დონორი ქვეყნების კონფერენციაზე შეეცდება. "მართალია, ვირუსის მუტაციის შესაძლებლობა ჯერჯერობით არ დასტურდება, საერთაშორისო საზოგადოება მაინც მზად უნდა იყოს, რადგან ვირუსმა ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის უნარი შესაძლოა ნებისმიერ მომენტში შეიძინოს," - აღნიშნავენ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წევრები. გაერო-ს წარმომადგენლები კი იმ ქვეყნებს, სადაც ვირუსის გავრცელების ალბათობა დიდია, მოუწოდებენ, მედიკამენტ "ტამი-ფლუს" საჭირო რაოდენობის მარაგი შექმნან. იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელმაც საერთაშორისო ორგანიზაციის მითითება უნდა გაითვალისწინოს, საქართველოცაა.

ქართველი მეცნიერები, ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, ფრინველის გრიპსა და მოსალოდნელ პანდემიაზე 17 იანვარს იმსჯელებენ, სადაც მეცნიერთა შეხედულებებსა და გრიპთან ბრძოლის უახლეს მეთოდებს საზოგადოებას გააცნობენ.

სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საგანგებო თათბირზე, რომელიც "ფრინველის გრიპის" პრევენციას უკავშირდებოდა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, **"მართალია, "ფრინველის გრიპი" საშიში დაავადებაა, რომელსაც მოსახლეობა ორგანიზებულად უნდა შეხვდეს, თუმცა არ არსებობს დაავადება, რომლის ლოკალიზებაც კარგი ორგანიზებულობის პირობებში შეუძლებელი იქნება."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# გაჭირვება და ონკოლოგიურ-ნარკოტიკული აფერა

*შესაძლოა, სიღნაღის რაიონის პროკურატურამ ამავე რაიონის პოლიკლინიკის ზოგიერთი თანამშრომელი და მთავარი გინეკოლოგი თამილა კახეთელიძე უახლოეს მომავალში პასუხისგებაში მისცეს. ამის მიზეზი სოფელ მაშრაანელი რევაზ ყორღანაშვილია. გამოძიება ეჭვობს, რომ მის სახელზე, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფზე, ავადმყოფობის ყალბი ისტორიაა გაცემული, რის საფუძველზეც მის მეუღლეს ქმრისთვის განკუთვნილი "მორფიუმი" გამოჰქონდა და რაიონის მთავარ გინეკოლოგს ხუთ ლარად აბარებდა.*

ზვიად რუაძე

სიღნაღის რაიონული პოლიკლინიკის ონკოლოგიური განყოფილების ექიმი მარინა კვირიკაშვილი ირწმუნება, რომ რევაზ ყორღანაშვილი მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფია. ასეთი ავადმყოფობისგან გამოწვეული მწვავე ტკივილის გასაყუჩებლად მას ნარკოტიკული საშუალება "მორფიუმის" რეგულარულად მიღება გასული წლის აგვისტოდან დაენიშნა. პოლიკლინიკიდან ავადმყოფისთვის წამლის წაღება კი, ჩვეულებრივ, მისი ოჯახის წევრებს უხდებოდათ.

**"წამალი, ძირითადად, მის შვილს, ადვოკატ ჯუნა ყორღანაშვილს მიჰქონდა ხოლმე. მან რამდენჯერმე ისიც დაიჩივლა, რომ "მორფიუმი" მამამისს ტკივილს არ უყუჩებდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე ავადმყოფი ონკოლოგიურ საავადმყოფოში მკურნალობდა და ამ ხნის მანძილზე ჩვენგან წამლის გაცემა შეწყდა. მოგვიანებით მაცნობეს, რომ იგი სტაციონარიდან გამოწერეს, რის შემდეგაც, მასზე "მორფიუმის" გაცემა ჩვეულებრივ გავაგრძელეთ,"** - ამბობს ონკოლოგი მარინა კვირიკაშვილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს ელჩი რუსეთს ეუთო-ში უჩივის

პირველი გვერდიდან

**როგორსაც ადგილი ჰქონდა ერთობლივი საკონტროლო კომისიის სხდომის დასრულებისთანავე, როდესაც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულმა ხელისუფლებამ ე.წ. შავი სია გამოაქვეყნა და მასში შეყვანილ, საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების პირებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსეთის მხარის გაურკვეველი პოზიციის გამო, სამხრეთ ოსეთის მხარე პასიურობას იჩენს სამშვიდობო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით და ცდილობს, შესაძლო წარუმატებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა საქართველოს მხარეს დააკისროს,"** - განაცხადა ვიქტორ ნოზაძემ.

მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ დემილიტარიზაცია, რომელიც სამშვიდობო გეგმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.

**"საქართველოს მხარეს სწამს, რომ ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოზე მიღებული განცხადება საქართველოს შესახებ, საომარი მოქმედებების განუახლებლობის საკმარის პირობას იძლევა. საქართველოს მხარე კვლავაც განუხრელად ადგას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზას და ყველა მხარეს მოუწოდებს, ქმედითად იმუშაონ სამშვიდობო გეგმის რეალიზაციის მიზნით. ჯერჯერობით, ოსური მხარე უარს აცხადებს თბილისში ჩამოსვლაზე, მაგრამ ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ ისინი აზრს შეიცვლიან და შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა საქართველოს დედაქალაქში შედგება,"** - დასძინა ქართველმა დიპლომატმა.

*24 საათი*

## გაერო საქართველოს "ტამი-ფლუს" მარაგის შექმნას ურჩევს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება გაერო-ს მითითებას, გრიპის საწინააღმდეგო ვირუსის მომარაგების თაობაზე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის განცხადებით, დაახლოებით ერთ თვეში ქვეყანაში შემოვა სპეციალური პრეპარატის - "ტამი-ფლუს" პირველი პარტია, ხოლო მეორე, დიდი პარტიის შემოტანა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისთვის იგეგმება და წამალი 50 ათასი ადამიანისთვის იქნება გათვალისწინებული. მთავრობა "ტამი-ფლუს" "ფრინველის გრიპის" გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად გამოყოფილი 2 მილიონ 700 ათასი ლარიდან შეიძენს. ჭიპაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობამ შვეიცარულ კომპანია "როშეს" პრეპარატი "ტამი-ფლუ" მსოფლიოში "ქათმის გრიპის" პირველი შემთხვევის დაფიქსირებისთანავე შეუკვეთა. თუმცა აღნიშნული პრეპარატის ევროპაში დეფიციტის გამო, საქართველოში წამლის შემოტანა ჯერ ვერ მოხერხდა. ჯანდაცვის მინისტრი არც "ტამი-ფლუს" უკუჩვენებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ძლიერმოქმედ პრეპარატს გვერდითი მოვლენები გააჩნია, ახასიათებს გარკვეული ტოქსიკურობაც, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მისი მიღება აუცილებელია. "ამ პრეპარატისგან მიღებული ეფექტი გაცილებით დიდია, ვიდრე მისი გვერდითი მოვლენები. პრეპარატი დაავადების სიმძიმეს ამსუბუქებს," - განაცხადა ჭიპაშვილმა.

*24 საათი*

### შპს "ენერჯი ინვესტისთვის" ლიცენზიის გაცემის საკითხი ხვალ გადაწყდება

შპს "ენერჯი ინვესტისზე" ბუნებრივი აირის განაწილების ლიცენზიის გაცემის საკითხს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) 17 იანვარს განიხილავს. ამავე სხდომაზე იქნება განხილული სემეკის პროექტის დადგენილება, "ენერჯი ინვესტისათვის" 35/110 კილოვოლტიან ძაბვაზე ელექტროენერგიის შესასყიდი ტარიფის დამტკიცების შესახებ. "ენერჯი-ინვესტის" კუთვნილი გაზტურბინების ექსპლოატაციაში შესვლა 2006 წლის 22 იანვარს იგეგმება.

22 იანვარს მხოლოდ ერთი აგრეგატი ჩაირთვება, რომელიც 55 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. ხოლო მეორე აგრეგატის ექსპლოატაციაში შესვლა თებერვლის დასაწყისში იგეგმება. ორივე აგრეგატის ამუშავებით საქართველოს ენერგოსისტემას 110 მეგავატი სიმძლავრე შეემატება. "გაზექსპორტთან" უკვე გაფორმებულია გაზის მოწოდების ერთთვიანი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, "ენერჯი ინვესტს" გაზტურბინების ასამუშავებლად საჭირო გაზი მიეწოდება. იმისთვის, რომ ტურბინებმა 110 მეგავატი სიმძლავრე გამოიმუშაოს, საათში 31 000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ესაჭიროება. "გაზექსპორტისგან" კომპანია გაზს იანვრის განმავლობაში მიიღებს, შემდეგში კი განიხილება მომწოდებლის შეცვლა. 1000 კუბურ მეტრ გაზში "ენერჯი ინვესტი" კომპანია "გაზექსპორტს" 110 დოლარს გადაუხდის. ტურბინების მიერ გამომუშავებულ დენს საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი შეისყიდის. **"1 კილოვატსაათი ელექტროენერგია 3,3 ცენტად გვინდა გავყიდოთ. ჩვენ მიერ წარდგენილ სატარიფო განაცხადს სემეკი განიხილავს და თუ მიზანშეწონილად მიიჩნევს, დაამტკიცებს,"** - აღნიშნა კომპანია "ენერჯი ინვესტის" წარმომადგენელმა. ***ჯი-ეიჩ-ენი***

### ეკონომიკის სამინისტრო ნახევარ მილიონ ლარად კიდევ ერთ ობიექტს ყიდის

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასაყიდად კიდევ ერთი ობიექტი გამოიტანა. ეს არის შპს "მოუკითხავი ტვირთების და მასალების სარეალიზაციო ბაზა". იგი აუქციონის წესით გაიყიდება. ობიექტი თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში მდებარეობს. მის საქმიანობას საქართველოს რკინიგზაზე დაგროვილი სხვადასხვა სახის მოუკითხავი ტვირთების მიღება, შენახვა და რეალიზაცია წარმოადგენს. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 126490 ლარია. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 500 000, ხოლო კრედიტორული დავალიანება 3758 ლარს შეადგენს. ობიექტი სახელმწიფო საკუთრებაა. ობიექტის შესაძენად სათანადო განცხადებების მიღება ეკონომიკის სამინისტროში 9 იანვარს დაიწყო და 9 თებერვლამდე გასტანს. 9 თებერვალსვე ჩატარდება აუქციონი ეკონომიკის სამინისტროში. **მედიანიუსი**

### პარლამენტში საქართველოსადმი ეკონომიკურ დანაშაულს შეისწავლიან

პარლამენტში სპეციალური ჯგუფი შეიქმნება, რომელიც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან გაწეულ უკანონო საქმიანობას შეისწავლის. ამის შესახებ ოფიციალური წერილით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის ხელმძღვანელმა შოთა მალაშხიამ მიმართა. მისი განმარტებით, სპეციალურმა ჯგუფმა უნდა შეისწავლოს იმ ზარალის ოდენობა, რომელიც საქართველომ აფხაზეთში რუსული კომპანიების (საბანკო და ფიჭური კავშირის) უკანონო საქმიანობის გამო განიცადა. მალაშხიას კომისიის გათვლით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში, კონფლიქტების დაწყებიდან დღემდე, ამ მიზეზით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 15 მილიარდი დოლარის ზარალი მიადგა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება უკვე ამზადებს სარჩელს რუსული კომპანიების წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში წარსადგენად.

მალაშხიას განცხადებით, ევროპულ სასამართლოში საქართველოს ინტერესების დაცვის სურვილი რამდენიმე უცხოურმა იურიდიულმა კომპანიამ უკვე გამოთქვა. **პრაიმ-ნიუსი**

### "ელექტროკავშირის" აბონენტებს სხვა აბონენტებთან დაკავშირება კოდის გარეშე შეუძლიათ

"ელექტროკავშირის" აბონენტების ნაწილს სხვა სატელეფონო კომპანიების აბონენტებთან დაკავშირება 8-22 კოდის გარეშე შეეძლებათ. დღეიდან, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (ყოფილი "ელექტროკავშირის") საბურთალოს, დიდუბისა და დიღმის აბონენტები სატელეფონო ინდექსებით: 31, 34, 35, 36, 37, 38, 39, 51, ასევე 30 ატეესის აბონენტები, რომელთა ნომრები გრძელდება ციფრებით 0, 1, 2, 3 და 4 სხვა კომპანიების აბონენტებს, ინდექსებით: 19, 20, 21, 24, 26 , 27, 28 , 32 , 33, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 65, 69, 70, 75, 76, 77, 79, 97, ასევე 30 ატეესის აბონენტები, რომელთა ნომრები გრძელდება ციფრებით 5,6,7,8 და 9, გამსვლელი კოდის 8-22 გარეშე დაუკავშირდებიან. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აბონენტები ინდექსებით: 78, 91, 92, 40, 41, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 71 , 72, 73, 74, 78 სხვა კომპანიების აბონენტებს დროებით კვლავ 8-22 გამსვლელი კოდის მეშვეობით დაუკავშირდებიან. როგორც "ინტერპრესნიუსს" "ელექტროკავშირში" განუცხადეს, წუთობრივი მომსახურების ტარიფი იგივე რჩება, 1 წუთი - 2 თეთრი. **ინტერპრესნიუსი**

# მე, ელენე, მარიამი და ჩვენი საკრებულო

პირველი გვერდიდან



როცა პირველად ზოოპარკს ვესტუმრეთ და ცხოველებს ზედაც არ შეხედეს, მხოლოდ გაგვიკვირდა. მერე თვითონვე მოგვთხოვეს იქ წაყვანა, ოღონდ მალევე მივხვდით, ატრაქციონებისკენ ეჩქარებოდათ. მოგვიანებით შევამჩნიე, სხვებსაც კარუსელებისკენ გაურბოდათ თვალი. არცაა გასაკვირი: როცა ბავშვი გალიაში გამომწყვდეული მხეცების პირდაპირ, ათიოდე მეტრის დაშორებით აჭრელებულ საქანელასა და ვაგონს დაინახავს, იმ ბავშვს მურა დათვისთვის აღარ ცხელა და ცხოველთა სამყარო, საუკეთესო შემთხვევაში, კარგად ილუსტრირებული წიგნის ფურცლებზევე რჩება. ეს სამწუხარო რეალობა თბილისის ზოოპარკის დირექციამ ჩემზე ბევრად ადრე აღმოაჩინა. ამის მიუხედავად, ისინი ამ საკითხის მოგვარებას იმ მიზეზით ვერ ახერხებენ, რომ ზოოლოგიური პარკის პრობლემები სხვაგან წყდება, თანაც ისე, რომ ამ დარგის სპეციალისტების აზრს თითქმის არ ითვალისწინებენ.

რატომ დადგა დღის წესრიგში თბილისის ზოოპარკისა და "მზიურის" გაერთიანების საკითხი და რით არის ეს განპირობებული? - ამის შესახებ "24 საათი" (თამარ დვალი) ჯერ კიდევ ზაფხულში წერდა. მოგვიანებით ამ პრობლემას მედიის თითქმის ყველა საშუალება გამოეხმაურა და ფართო საზოგადოებას შეპარვით თუ აშკარად ეუწყა, რომ ამ ტერიტორიაზეც უნდა ველოდოთ ახალი საცხოვრებელი მასივის გაშენებას. დეტალებზე აღარ შევჩერდები, მაგრამ დადგენილებას, რომელიც თბილისის საკრებულომ 2005 წლის 7 ოქტომბერს გამოიტანა, გვერდს მეც ვერ ავუვლი. დადგენილებაში ვკითხულობთ: **"ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში "მზიურისა" და ზოოპარკის ტერიტორიის გაერთიანების შედეგად დარჩენილი ტერიტორიების ერთი ნაწილისთვის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 15 სექტემბრის N158 დადგენილებით ქ. თბილისის მერიას დაევალა ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში "მზიურისა" და ზოოპარკის გაერთიანების ხარჯზე საზოგადოებრივი მუნიციპალური პარკის მოწყობისა და დარჩენილი ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება და დამტკიცება. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებამდე საჭიროა დარჩენილი ტერიტორიების ნაწილს შეეცვალოს ზონის სტატუსი და მიენიჭოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსი."**

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტში თითქმის ყველაფერი ბუნდოვანია და ახსნა-განმარტებას საჭიროებს, ერთი რამ, მგონი, სწორად გავიგე. ლაპარაკია გაერთიანების შედეგად გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე, რომელიც საზოგადოებრივ-საქმიან ზონად უნდა გადაკეთდეს. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ, იქნებ საკრებულოს წევრებს ვინმემ შეახსენოს, რომ ისინი ჩვენი ინტერესების დასაცავად ავირჩიეთ, ასე რომ, პატივი დაგვდონ და აგვიხსნან მაინც: ან ეს ტერიტორია აქამდე სად იყო და თუ მხოლოდ ახლა გამოუჩნდა პატრონი, რას ნიშნავს **საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა.** ეს კითხვა უფრო იმიტომაც გვაწუხებს, რომ იპოდრომთან დაკავშირებით თურმე ტერმინოლოგიურ აღრევასთან გვქონია საქმე. როგორც გაირკვა, რეკრეაცია (ჩვენებურად - დასვენება, გართობა) ჩვენ, რიგით თბილისელებს და ჩვენ მიერ არჩეულ საკრებულოს აშკარად განსხვავებულად გვესმის. მე, მაგალითად, იპოდრომზე სეირნობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, სხვებს ურჩევნიათ, იქ სავაჭრო ცენტრი გაიხსნას და მოცალეობის ჟამს საყიდლებზე იარონ. მაინც, რას ნიშნავს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა? ასე მაგალითად: მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა ნამდვილად საზოგადოებრივი საქმიანობაა და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ოღონდ სხვაგან და არა მაინცდამაინც ზოოპარკის ტერიტორიაზე. მაგრამ, რატომღაც, კეთილმოწყობილი ზოოპარკიც საზოგადოებრივი საქმიანობა მგონია, თანაც იმავე ადგილას და არა სადმე სხვაგან.

თავის დროზე ატრაქციონებისა და ვოლიერების გვერდი-გვერდ არსებობა გაჭირვებამ მოიტანა. ზედმეტი შემოსავლის წყარო 1927 წელს დაარსებულ თბილისის ზოოპარკს ნამდვილად სჭირდებოდა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, 1994 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ აქაურობის გაუქმება განიზრახა. ცხოველების ნაწილი ბაქოს ზოოპარკს უნდა გადასცემოდა, ნაწილი - ჰუმანურად დაეხოცათ (იმდროინდელი ჰუმანური ხელისუფლების რომელიღაც დადგენილებაში სწორედ ასე ეწერა: "ცხოველების ჰუმანური დახოცვა"). მაშინ ზოოპარკის გაუქმების მცდელობამ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია და პარკი განადგურებას გადაურჩა. მართალია, ას ოცი ჰექტარი მიწიდან თორმეტიღა შემორჩა, მაგრამ ზოოპარკმა თანდათან დაიბრუნა პირვანდელი სახე. რაც მთავარია, გაჩნდა იმედი, რომ თბილისის ზოოპარკი მთლად ბერლინისას თუ არ დაემსგავსებოდა, დიდადაც არ ჩამოუვარდებოდა სხვა ცნობილ ზოოლოგიურ პარკებს. გალიების გვერდით დამონტაჟებული ატრაქციონებიდან შემოსული თანხა (წელიწადში დაახლოებით 40 000) არც ისე ბევრია, მაგრამ ზოოპარკის შენახვა ძვირი სიამოვნებაა. ადამიანისაგან განსხვავებით, ლომს ხორცის მაგივრად წიწიბურაზე ვერ გადაიყვან და ეგზოტიკურ იხვებსაც ვერ გაუშვებ გაყინულ წყალში. დღეს კი, როცა ჩვენი ხელისუფლება გაზრდილი ბიუჯეტითა და ხალხზე ზრუნვით თავს იწონებს, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რატომ არ ხმარდება "მზიურისა" და ზოოპარკის გაერთიანების შედეგად დარჩენილი ტერიტორია ამ უკანასკნელის გაფართოებას. კონკრეტულად რომელ ტერიტორიაზეა ლაპარაკი, არავინ უწყის. ასევე გაურკვეველია, სად გადის ზღვარი ზოოპარკსა და "მზიურს" შორის. სამაგიეროდ, საკრებულოში დანამდვილებით იციან, რომ ეს ტერიტორია ისეთი საზოგადოებრივი საქმიანებისთვის გამოდგება, რომელიც ფლორასა და ფაუნაზე ზრუნვას არ გულისხმობს. არადა, ატრაქციონების ვოლიერებისაგან მოშორება სხვა მიზეზითაცაა მიზანშეწონილი. სამწუხაროდ, ბევრ მშობელს იმის საშუალება არა აქვს, ზოოპარკში მიყვანილი პატარები ატრაქციონებზეც ჩამოატაროს და სულ მცირე 5 ლარი დახარჯოს. მშობელთა ეს კატეგორია იძულებულია, სერთოდ არ წაიყვანოს ბავშვები ზოოპარკში, წინააღმდეგ შემთხვევაში უკანა გზაზე აზლუქუნებული შვილების დაწყნარება მოუწევს.

კულუარებში ამბობენ, ზოოპარკის გადატანას ფუნიკულიორზე აპირებენ. ცხოველების სხვაგან გადაყვანის მცდელობა კომუნისტებსაც ჰქონდათ, ოღონდ მაშინ რუსთავის მისადგომებზე იყო ლაპარაკი. ამ ყოვლად დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას სპეციალისტების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა და ზოოპარკი ისევ ვარაზისხევში დარჩა. თუ ამ დარგის ექსპერტებს ახლაც სთხოვენ რჩევას, ისინი ფუნიკულიორსაც დაიწუნებენ. ლუნა-პარკისთვის ფუნიკულიორი იქნებ ზედგამოჭრილია, მაგრამ ცხოველების იქ აყვანა დაუშვებელია. თავის დროზე ზოოპარკისათვის განკუთვნილი ადგილი საგულდაგულოდ შეირჩა, აქაური მიკროკლიმატის გამო. ამას გარდა, მდინარე ვერე წყლის ცხოველების მოსაშენებლად საუკეთესო პირობებს ქმნის. ამას ისიც ემატება, რომ ვარაზისხევში ქარი არ ქრის, რაც ზოოლოგიური პარკებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ჰაერის ტემპერატურას, ზაფხულობით აქ გრილა, ზამთრობით - თბილა, ასე რომ, სხვა გეოგრაფიულ სარტყელში მობინადრე ცხოველები უცხო გარემოს უკეთ ეგუებიან. ფუნიკულიორი კი ამ მინიმალურ პირობებს ვერ აკმაყოფილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოველები იქ ვერ გაძლებენ და ის 250 სახეობა, რაც დღეს ზოპარკშია თავმოყრილი, არაჰუმანური გზით დაიხოცება.

"მე მეყოლება უამრავი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, იმათი შვილები და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით, მერე ჩვენ გავმრავლდებით უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით, აღარ დავილევით და აღარ გავთავდებით". ცხადია, ამ სიტყვების ავტორი მხოლოდ საკუთარი გვარის გამრავლებასა და კეთილდღეობაზე არ ზრუნავდა. ამიტომაც ოცნებობდა, "მზიურის" სახით ქართველ ბავშვებსაც ჰქონოდათ "დისნეილენდის" მსგავსი პარკი. დარწმუნებული ვარ, ნოდარ დუმბაძე ცოცხალი რომ იყოს, პირველი ის დაიცავდა ზოოპარკს. თუ ბავშვებს ბავშვობას წავართმევთ და მრავალსართულიან კორპუსებში გამოვკეტავთ, მთელი სოფელი ჩვენ ვერ ვიქნებით და ადრე თუ გვიან აუცილებლად დავილევით.

# ექსპედიტორებისთვის კანონი მკაცრდება

პირველი გვერდიდან



რომან დალაქიშვილს ამის კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს. მისი თქმით, თბილისი-ხაშურის საავტომობილო გზის დიდი მონაკვეთი სწორედ იმ ტრაილერების მიერ არის დაზიანებული, რომელთა დატვირთვა რეკომენდირებულს საგრძნობლად აღემატებოდა.

ცნობისათვის, საქართველოს საავტომობილო გზები თავის დროზე აგებულია ერთღერძიან ავტომანქანაზე 10 ტონა ტვირთის გაანგარიშებით, 2-ღერძიანზე - 20 ტონა, და ა.შ. საავტომობილო გზების დეპარტამენტში ირწმუნებიან, რომ დღეს ტვირთების გადაზიდვა ხშირად ამ ნორმების უხეში დარღვევით ხდება. **"ფაქტობრივად, დღეს ერთ ღერძზე დატვირთვა 14-16 ტონა, ზოგჯერ უფრო მეტიც მოდის,"** - გვითხრა დალაქიშვილმა.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია შიდა სახელმწიფოებრივი გზები, რომლის დიდი ნაწილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, განსაკუთრებით თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს დაზიანდა. **"ერთჯერადად თუ გაივლის მანქანა, კიდევ არა უშავს, მაგრამ როდესაც მოძრაობა ინტენსიურია, მას ძალიან მალე გამოჰყავს გზა მწყობრიდან. სწორედ ამის გამო გახდა აღნიშნული ცვლილება აუცილებელი, ჩვენ არა მარტო ფული უნდა დავხარჯოთ გზების რეაბილიტაციაზე, არამედ რეაბილიტირებული გზები უნდა დავიცვათ,"** - აღნიშნა რომან დალაქიშვილმა "24 საათთან" საუბრის დროს.

არავინ დავობს იმაზე, რომ სახელმწიფომ რეაბილიტირებული გზები უნდა დაიცვას და, ამ მიზნით, გარკვეული შეზღუდვა-ჯარიმებიც უნდა დააწესოს, მით უმეტეს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ასეა. მეტიც, მთელ რიგ სახელმწიფოებში, მათ შორის - მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში, ამ კუთხით კანონი და შეზღუდვები კიდევ უფრო მკაცრია, ვიდრე საქართველოში. თუმცა გადამზიდავი კომპანიების ერთ ნაწილში ზემოთ ხსენებულმა ცვლილებამ გარკვეული უკმაყოფილება მაინც გამოიწვია.

ზაზა ხოშტარია ერთ-ერთი მათგანია. მისი კომპანია "ანლექსლოჯისტიკი" ბოლო რამდენიმე წელია, ძირითადად, ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვას ემსახურება. ხოშტარია ამბობს, რომ "საავტომობილო გზებისა" და "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონებში შეტანილი ხსენებული ცვლილებები საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტვირთების მოცულობას საგრძნობლად შეამცირებს. **"ერთ ღერძზე 10 ტონა ძალიან ცოტაა, 1000-ლარიანი ჯარიმა კი ძალიან ბევრია. არის 25-30-ტონიანი ტვირთი, მაგალითად, ტრაქტორი ან სხვა მსგავსი, რომელსაც მისი მესაკუთრე ვერ გაყოფს. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში მან? ახლა გაამრავლეთ ყოველი ზედმეტი ერთი ტონა 1000 ლარზე. ვინ გადაიხდის ამდენს? საქართველოს გავლით ტვირთების შემოტანა ყოველგვარ აზრს კარგავს,"** - უთხრა "24 საათს" "ანლექსლოჯისტიკის" ხელმძღვანელმა.

ზაზა ხოშტარია დარწმუნებულია, რომ 18 იანვრის შემდეგ მძიმეწონიანი ტვირთები ალტერნატიულ გზებს მალევე მოძებნიან. მისი თქმით, ირანი ერთ-ერთი მარშრუტი იქნება, რომელიც ამ შემთხვევაში საქართველოს ადვილად ჩაანაცვლებს. **"ჩვენ სატრანზიტო ქვეყანა ვართ, სატრანზიტო ქვეყანას კი ისეთი კანონები უნდა ჰქონდეს, რომელიც ტრანზიტული ტვირთების შემოტანას ხელს შეუწყობს,"** - დასძენს ხოშტარია.

ექსპედიტორთა ამ ვარაუდს არ ეთანხმება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი. ის გამორიცხავს ტრანზიტული ტვირთების შემცირებას, თუმცა გადაზიდვების ღირებულების გაზრდას დასაშვებად მიიჩნევს. ამის ალბათობას "კავკასტრანსექსპრესის" ფინანსური დირექტორი ნიკო ზარდიაშვილიც არ გამორიცხავს. ის ამბობს, რომ კანონში შესული ცვლილებები ზოგიერთ გადამზიდავ კომპანიას გადაზიდვების საფასურის გაზრდას აიძულებს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც მოძველებული ტრაილერები ჰყავს. **"ძველი წარმოების მანქანებს ტვირთამწეობა ძალიან დაბალი აქვთ, ამის გამო მათ შესაძლოა, ერთის ნაცვლად, ორი ან მეტი რეისის შესრულება მოუწიოთ. ეს კი, ბუნებრივია, გადაზიდვების ღირებულებას აძვირებს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ნიკო ზარდიაშვილმა, თუმცა დასძინა, რომ აღნიშნული ცვლილებები მძღოლებს მნიშვნელოვნად დაეხმარება და გზებზე ავტოკატასტროფების შემთხვევების რაოდენობას საგრძნობლად შეამცირებს. ზარდიაშვილის თქმით, ხშირად ზედმეტად დატვირთული ავტომანქანები ავტოსაგზაო შემთხვევებს ქმნიან.

დღემდე, ზედმეტად დატვირთული ავტომანქანის მძღოლებისთვის მოქმედი კანონმდებლობა არანაირ სანქციას არ ითვალისწინებდა. თუმცა 2004 წლამდე, ძველი საგადასახადო კოდექსით, ზენორმატიულ დატვირთვაზე მინიმალური ჯარიმა განსაზღვრული იყო - 1 ტონა 50 ლარი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით, სომხეთს ეწვევა. იგი შეხვედრებს გამართავს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან რობერტ ქოჩარიანთან, პრემიერ-მინისტრთან ანდრანიკ მარგარიანთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ვარდან ოსკანიანთან, თავდაცვის მინისტრთან სერჟ სარგისიანთან. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდება ყოველთა სომეხთა კათოლიკოსს გარეგინ მეორეს. ვიზიტის დროს განხილული იქნება ორმხრივი თანამშრომლობის, საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციისა და სხვა საკითხები. გელა ბეჟუაშვილი თბილისში 17 იანვარს, დღის მეორე ნახევარში დაბრუნდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის პრესსამსახურმა ტელეკომპანია "ალანიას" ტრანსლაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ის, რაც ტელეკომპანიის ეთერში გადიოდა, საქართველოს სპეცსამსახურების მიერ წარმოებული ბინძური საინფორმაციო კამპანია იყო და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. განცხადებაში აღნიშნულია ისიც, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას შეუძლია შეწყვიტოს ყველა ქართული ტელევიზიის მაუწყებლობა რეგიონის ტერიტორიაზე და აღკვეთოს ქართული გაზეთების გავრცელება. რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია "ალანიას" მაუწყებლობა ცხინვალში ჩაახშვეს, რასაც წინ უძღოდა ტელევიზიის მიერ გაკეთებული ანონსი, რომ 11 იანვარს მაყურებელი სამხრეთ ოსეთის ოფიციალური პირების, კერძოდ, ედუარდ კოკოითის შესახებ კომპრომატულ მასალას იხილავდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** სუამი რუსეთს დნესტრისპირეთიდან, აფხაზეთიდან და ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გაყვანისაკენ მოუწოდებს. ამის თაობაზე ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ქართულმა დელეგაციამ ავსტრიაში გამართულ ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე გაავრცელა. ქართული მხარე წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მოწონებულ სამშვიდობო გეგმაზე, რუსეთში ისე საუბრობენ, როგორც არარსებულ დოკუმენტზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი არ გამორიცხავს, რომ ოსური და რუსული სამშვიდობო ბატალიონების წინააღმდეგ პროვოკაციები განხორციელდეს. "არ ვმალავ, რომ პროვოკაციებს ველოდები," - აცხადებს კულახმეტოვი. იგი, აუცილებლობის შემთხვევაში, არც რუსული სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობის გაზრდას გამორიცხავს. "მე შემიძლია დავსვა რუსული ბატალიონის საშტატო შემადგენლობის გაზრდის საკითხი. ამჟამად ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, რადგან დინამიკა პოზიტიურია... მაგრამ თუკი გაგვიჭირდება, მაშინ ამ საკითხს წინ წამოვწევთ, მით უმეტეს, შერეული სამშვიდობო ძალების მანდატით კონტინგენტის გაზრდა განსაზღვრულია," - აცხადებს მარატ კულახმეტოვი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" დეპუტატები, ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით, ლიტვაში გაემგზავრნენ. ისინი შეხვედრებს გამართავენ ლიტვის პარლამენტში და დეტალურად გაეცნობიან ამ ქვეყანაში გატარებულ რეფორმებს, რომლებიც განათლებისა და სოციალურ სფეროში განხორციელდა. ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრებთან ერთად, ლიტვაში რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილიც გაემგზავრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერმა გიგი უგულავამ და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა, სტუდენტებთან ერთად, "ორთაჭალჰესის" ხიდის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს. "ამ ტერიტორიაზე შესანიშნავი გამწვანების ზოლია, მაგრამ მოსახლეობა ნაგავს ყრის და ამ ადგილების მოვლა თითქმის შეუძლებელია. მინდა მოსახლეობას მოვუწოდო, ასეთი ქმედებისგან თავი შეიკავონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქის დალაგება შეუძლებელი გახდება," - განაცხადა გიგი უგულავამ. თებერვალში თბილისის მერია ტენდერს გამოაცხადებს. ტენდერის საშუალებით ის კომპანია გამოვლინდება, რომელიც თბილისის ქუჩების დასუფთავებაზე იზრუნებს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

ნოდარ ლადარია

დიდი "საზოგადოებრივი რეზონანსი" გამოიწვია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გარშემო ატეხილმა ალიაქოთმა. უფრო დაზუსტებით რომ ვთქვათ, დიდი მედია-გაშუქება დაიმსახურა. თანაც, როგორც ჩვენთან უყვართ თქმა, საზოგადოება ორად გაიყო. ერთნი ამბობენ, ახალგაზრდა იურისტები ზედმეტად ეჩრებიან პოლიტიკაშიო (რაც ალბათ არც თუ ისე ძნელი დასაჯერებელია); მეორენი იძახიან — ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ წამოწყებული კამპანიააო (ესეც საკმაოდ ადვილი დასაჯერებელია, რადგან ყველაფერს ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი უნიჭობა ეტყობა, ჯერ **გია გეწაძის** ხელახალი გამოჩენით ტელეეკრანზე, მეორეც, **ირაკლი ოქრუაშვილის** როყიო ლაპარაკით — ეს ყმაწვილი ინტერვიუს ასაღებად მხოლოდ პარლამენტის ტრიბუნაზე უნდა აიყვანონ, თორემ სხვანაირად შეუძლებელია მისი ატანა). ერთი სიტყვით, ამ ვითარებაში ყველაზე ადვილი გამოსავალი იქნებოდა ერთი რაბინის პოზიციაზე დადგომა: ყველანი მართლები არიან. სხვათა შორის, ყველაზე ადვილი გამოსავალი ხანდახან ყველაზე ჭეშმარიტიცაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც მსურს, ერთი შენიშვნა გავაკეთო: ყველაფერი ისევ და ისევ ქართული დაუდევრობის ბრალია. წესდება, მაგალითად, ჩვენში მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ რეგისტრაციის დროს მიიტანონ შესაბამის უწყებაში; რაც შეეხება წევრობას, ის ყოველთვის იყო რაღაც ბუნდოვანი და გაუგებარი. აბა, როგორ უნდა ვაკრიტიკოთ ესა თუ ის პოლიტიკური ინტენციები, რომლებიც შიმშილივით ან სქესობრივ ლტოლვასავით ბუნებრივი რამაა. მაგრამ როცა არ არსებობს წესრიგი და ბიუროკრატია, — დისციპლინა, რომელიც ბუნებრივ ლტოლვებს არეგულირებს; როცა არ არსებობს საქმეთა წარმოების კულტურა და გამუდმებით არავინ აკონტროლებს საწევროთა გადახდის რეგულარობას, როცა თვით საწევროებიც არაა ანგარიშგასაწევი მიღებულ და მისაღებ გრანტებთან შედარებით, ყოველთვის იქნება პროვოკაციების მოწყობის შესაძლებლობა, აქედან გამომდინარე კი თვით პროვოკაციებიც. მოვლენ მერე ტალიკ-ტალიკა ბიჭები პარლამენტიდან და ორმოცდაათლარიანებსააფრიალებენ — საწევრო რა გახდა, ამაზე გვალაპარაკებთო? მაგათ მეტი არც მოეკითხებათ: ხომ გახსოვთ ძველი ქუთაისური ანეგდოტი, დაარტყი პენალტი, "სუდიას" ვინ კითხავსო? — ჰოდა, ასე ფიქრობენ ესენიც, მაგრამ საბაბი აქვთ და იმიტომაც არიან...

ჯერ კიდევ **ილია ჭავჭავაძე** ხსნიდა ლუარსაბის კარმიდამოს არეულობას ერთი მარტივი მიზეზით: ქართველია და იმიტომაო. ჰოდა, სანამ ბიუროკრატიული რუტინა (მრავალგზის შეგინებული და ხშირად უსამართლოდაც) არ გახდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მომწესრიგებელი ატრიბუტი, მანამ არ მოგვცილდება ეს გაუთავებელი "საზოგადოებრივი პოლარიზაციები"...

ერთი სიტყვით, მე ასე მეჩვენება: როგორიც არ უნდა იყოს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მოთხოვნები და მამოძრავებელი იმპულსები, თვით ასპარეზი, რომელზედაც წარმოიშვა კონფლიქტი, საქმის მიმართ დაუდევარი დამოკიდებულებაა. ეს კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმის გარკვევაზე, კონფლიქტის მონაწილეებიდან რომლები არიან "კარგები" და რომლები — "ცუდები".

საერთოდ, დაუდევრობა მეტად საშიში რამაა, თვით ბოროტებაზე საშიშიც. ამიტომ დაუდევრად არ უნდა მოვეკიდოთ არაფერს, განსაკუთრებით კი სიტყვას, რომელიც ადრე თუ გვიან გარდაუვალად გამოიღებს თავის ნაყოფს. ნაყოფი შეიძლება ტკბილი არც იყოს... ასეთი სიტყვის მაგალითია ტექსტი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიიღო ქართველმა საზოგადოებამ და რომელსაც, როგორც ამბობენ, ყველა პუნქტში დაეთანხმა საქართველოს პრეზიდენტი.

ვნახოთ, რას დაეთანხმა.

ტექსტი გვამცნობს: "**დღეს კულტურასა და ცხოვრების წესზე ზემოქმედების ყველაზე გავლენიან ძალად იქცა ისეთი საშუალებები, როგორიცაა მასმედია, კინოხელოვნება, ინტერნეტი და სხვა**". საინტერესო სამეულია: მასმედია, კინოხელოვნება, ინტერნეტი, მაგრამ ყველაზე მეტად ეს "და სხვა" მაინტერესებს. აქაც იგივე ქართული დაუდევრობა: ფიქრი დაეზარათ და მიაწერეს. ეს "კინოხელოვნება" რაღაა — ალბათ, ჰოლივუდის პროდუქცია იგულისხმება. ან კიდევ ინტერნეტი მასმედიაში არ შედის, ნეტავ? მაგრამ ნუ დავწვრილმანდებით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ახალგაზრდა იურისტებმაც გვიჩვენეს, წვრილმანებს ძალიან მსხვილი შედეგები მოსდევს ხოლმე. განვაგრძოთ ტექსტის კითხვა:

"**საზოგადოების და, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის მსოფლმხედველობას მნიშვნელოვანწილად აყალიბებს ტელევიზია. სამწუხაროდ, მისი საშუალებით ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აქვს ადგილი იდეოლოგიური დატვირთვის მქონე გადაცემებით არატრადიციული ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობას. წლების განმავლობაში, არატრადიციული ღირებულებების ხელოვნურად დანერგვას ხელს უწყობენ გარკვეული ძალებიც და ამას თავისუფლების, დემოკრატიისა, და განვითარების პროცესად წარმოაჩენენ, რითაც დარტყმას, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სახელმწიფოს და ხელისუფლებას აყენებენ**". აჰა, გამოჩნდნენ "გარკვეული ძალები". ამათ გარეშე ხომ არაფერი შეიძლება. ვინ არიან? ებრაულ-მასონური შეთქმულების ბირთვია, სატანის ანგელოზები თუ უცხოპლანეტელები? უკაცრავად ქართულია და ტრადიციული ცხოვრების წესის დამამკვიდრებელი ტელევიზია როგორღა უნდა წარმოვიდგინოთ? — "ძროხის შარდი — და თქვენი თმები სასწაულებრივ ტრადიციულ მბზინვარებას შეიძენს!". ან თვით ეს ტრადიციული ქართული წესი რომელია? არა, სულაც არ ვხუმრობ, ამ ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთს ეჯაჭვება და თუ ჩვენი შვილებისთვის ნათელი მომავალი გვწადია, მაშინ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ კარგი განათლება, მაღალანაზღაურებადი სამსახური, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება თავისთავად (და არა ხელოვნურად) გამოიწვევს ცხოვრების წესის ცვლილებას.




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ტექსტში არის აშკარა მინიშნება იმაზე, რომ თავისუფლების, დემოკრატიისა და განვითარების მომხრენი საქართველოსათვის "არატრადიციულ ღირებულებებს" ატარებენ. ამგვარი მიდგომის შედეგები ოდნავ ქვემოთ გამოჩნდება.

"**ვფიქრობთ, სახელმწიფოსათვის არ უნდა იყოს სულერთი, თუ როგორი იქნება ჩვენი მომავალი თაობა. სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას**". ცამდე მართალია ჩვენი ტექსტი: სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს "ყველაფრის უფლებას" — ის სიტყვის თავისუფლებას ნიშნავს და ვინც მას ზღუდავს, სიტყვის თავისუფლებას არღვევს. არც დემოკრატია ნიშნავს ყველაფრის უფლებას — ის, უპირველესად ყოვლისა ავტორიტარიზმის უფლებას არ ნიშნავს, როგორიც არ უნდა იყოს ამ ავტორიტარიზმის ბუნება. აქ შეიძლება გაგვიჩნდეს პირველი ვარაუდი, რომ ამ ტექსტის ავტორი შეიძლება **პანტელეიმონ გიორგაძის** პარტიის წერა-კითხვის მცოდნე რომელიმე წევრი იყოს. თუმცა შემდეგ ოდნავი განსხვავებები მაინც გამოჩნდება.

ტექსტი ამასობაში განაგრძობს: "**შეუძლებელია ახალგაზრდა იზრდებოდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების უგულებელყოფის ატმოსფეროში და მაგალითად, ჯარში იგი თავისი ქვეყნის მამაც დამცველად მოგვევლინოს**". ამ სიტყვების წამკითხავმა მეგობარმა მკითხა: **კაპიტანი ბუხაიძე**, რომლის სადიდებელს მთელი საქართველო მღეროდა, ნეტა რა ღირებულებებით იყო გამსჭვალულიო? ან **შოთა გამცემლიძე** რომელი იდეის გულისთვის შეუვარდა გერმანულ ტანკს? დიახ, ბატონებო, საბრძოლო მამაცობა ცოტა სხვა ფენომენია და მისი განხილვა გაცილებით უფრო მეტ მომზადებას მოითხოვს როგორც ავტორის, ასევე მკითხველისაგან.

ტექსტი კი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება სათქმელს: "**ასევე შეუძლებელია ამა თუ იმ განვითარებული სახელმწიფოს ცხოვრება მხოლოდ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის გამოვლინებად მივიჩნიოთ და იგი ვაქციოთ მისაბაძად, რადგან სინამდვილეში იქაური ყოფა მნიშვნელოვანწილად არის შედეგი ამ ქვეყნის კულტურის, რელიგიისა და ტრადიციისა**". კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ეს ოკრობოკრო ქართული და დამეთანხმებით, რომ შემდეგს ნიშნავს: 1) დასავლეთის სანატრელი ცხოვრების დონე არაა შედეგი მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლისა; 2) მისი კეთილდღეობის მიზეზი არის შესაბამისი ქვეყნის კულტურა, რელიგია და ტრადიცია; 3) მაგრამ ეს კულტურა, რელიგია და ტრადიცია სრულიად უცხოა ჩვენთვის, ამიტომ არ უნდა მივბაძოთ. ერთი სიტყვით, ჩვენი რელიგია და ტრადიციები არ იძლევა ეკონომიკური განვითარების საშუალებას, ამიტომ სიმდიდრე და კეთილდღეობა ისევე უნდა დავგმოთ, როგორც ავღანელმა ტალიბებმა დაგმეს. ერთი სიტყვით, არა შეჯდა მწყერი ხესაო...

მაგრამ ტექსტი უბრალოდ უპასუხისმგებლო დებულებათა ნაკრები როდია, აქ შეიძლება წავაწყდეთ არგუმენტაციის ჩანასახებსაც: "**ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის საზოგადოებებს განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ. ამისი დადასტურებაა იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, ნორვეგიის და სხვათა მაგალითი**". აჰა, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ცხოვრების წესი ჰქონიათ — რას ვიფიქრებდით! ისე კი, სამხრეთ კორეას რომ მიაწყდა ჩვენი ტექსტი, ჩრდილოეთ კორეა რატომ დაავიწყდა? ეს უკანასკნელი ხომ გაცილებით უფრო "ტრადიციულია", უფრო ეროვნულია — იქ სწორედ ეროვნულობის სარჩულითაა დამკვიდრებული იდეა "ჩუნჩხე" — ჩრდილოკორეელთა ნაციონალური სიამაყე და მონაპოვარი. აბა, სად ნახავთ ჩრდილოეთ კორეაში "მაკდონალდსებს", "რეალიტი-შოუებს", სიტყვის თავისუფლებას, სინდისის თავისუფლებასა და სხვა საძულველ "არატრადიციულ" და უცხო რაღაცებს? მაშინ როცა იაპონიისა და სამხრეთ კორეის მაგალითი სწორედ ტრადიციათა დაძლევაა. იაპონიაში, მაგალითად, ვინც სიახლეებს ვერ შეურიგდა, ხარაკირი გაიკეთა და იმგვარად გადასახლდა იქ, სადაც, ადრე თუ გვიან, თანამედროვეობის მოთხოვნებს დაშორებული ყველა დრომოჭმული ტრადიცია უნდა გადავიდეს. აბა, სისხლის აღებას ან გოგონებისთვის კლიტორის რეზექციას ხომ არ დავუჭერთ მხარს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს რომელიმე ხალხის ტრადიციაა!

ტრადიციებს, საზოგადოდ, მეტად მოულოდნელი საფრთხე ელის: აი, ფრინველის გრიპის შესაძლო ეპიდემიის გამო თბილისის სწრაფი კვების დაწესებულებებში მოხმარებიდან ამოიღეს ფრინველის ხორცი და კვერცხი. იგივე ბედი ეწია "ბეზეთი" შემკულ ნამცხვრებს. თუ ასე გაგრძელდა, რა უნდა შეღებოს მართლმადიდებელმა ქართველმა ერმა სააღდგომოდ?

როგორც ვთქვით, ტექსტი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება მთავარ სათქმელს და ახლა მთავარი კოზირის გამოჩენის დროც მოვიდა. მე კი უნდა გავანებო თავი მკითხველის წვალებას და გავამჟღავნო ტექსტის სათაური: საპატრიარქოს მიერ გავრცელებული **2006 წლის საშობაო ეპისტოლე**. გასაგებია, რომ მთავარი კოზირი ამ შემთხვევაში მორალიზმი და ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლაა. ამ მხრივ, ეპისტოლე მოკრძალებულად გვამცნობს: "**საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცოდვა დღეს არ წარმოშობილა, იგი უძველესი დროიდან არსებობდა და არსებობს**". არავისთან წამოგცდეთ, ბატონებო, მაგრამ უძველესი დროიდან ეგვიპტის პირამიდები არსებობს და კიდევ ზეზვასა და მზიას ძვლები. რაც შეეხება ცოდვას, მის გარშემო უკვე მართლაც რომ უძველესი დროიდან არსებობს კარგად შემუშავებული თეოლოგიური დისკურსი, რომელსაც უფრო ღირსეული გამოყენება სჭირდება. აშკარაა, რომ ეპისტოლე შემდეგ რამეს გულისხმობს: საქართველოში ცოტა ვინმეა მიჩვეული ქრისტიანული ღირებულებებით ოპერირებას, ქრისტიანულ ენაზე საუბარს. მაშ როგორ შევუთავსოთ მათ სიმცირეს ის ყბადაღებული 87%, რომელიც მხარს უჭერს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ქრისტიანობა მართლაც ტრადიციული რელიგიაა, თუ მისი სახელით ხალხს ასე ესაუბრებიან: "საერთოდ, უნდა ითქვას...". მერე კი რას ამბობს ეპისტოლე? — "**მაგრამ ადრე ცოდვას ცოდვა ერქვა და იგი სირცხვილად მიიჩნეოდა; დღეს კი ვითარება იცვლება და იქითკენ მიდის, რომ მოხდეს ცოდვის ლეგალიზება**". ლეგალიზება ნიშნავს კანონიერი ძალის მინიჭებას, კანონიერი ძალა კი შეიძლება მხოლოდ იმას მიენიჭოს, რასაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ცოდვას, ის თეოლოგიური, ეთიკური, ერთი სიტყვით, მეტაიურიდიული კატეგორიაა და მისი ლეგალიზება უბრალოდ აბსურდია. აქ ტერმინოლოგიური შეუსაბამობაა: მაგალითად, ღვთის გმობა ცოდვაა, მაგრამ ვერ იქნება სისხლის სამართლის დანაშაული. აქვე დავსძენ, რომ ინდუსტრიული ეპოქის დასაწყისში კანონიკური და სამოქალაქო სამართლის ერთმანეთისგან გამიჯვნა გახდა ევროპაში ეკლესიის რიგების უღირს ღვთისმსახურთაგან განწმენდის და ეკლესიის სულიერი გაძლიერების საფუძველი.

მაგრამ ეპისტოლეში ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების გაგება რატომღაც არ ჩანს. ამის მაგიერ, ვკითხულობთ შემდეგს: "**განა შეიძლება ნარკომანობა იყოს ჩვეულებრივი მდგომარეობა და ნარკომანი საზოგადოების სრულფასოვან წევრად მივიჩნიოთ?! განა შეიძლება სოდომგომორის ცოდვა ბუნებრივ მოთხოვნილებად შევრაცხოთ და ეს გადახრა ჩვეულებრივ მოვლენად წარმოვაჩინოთ?! მაშინ რატომღა ვსჯით მკვლელებსა და ქურდებს, სხვა ბოროტმოქმედთ, მათაც ხომ აქვთ ამ დანაშაულებების მიმართ მიდრეკილებები?!**". ამასთან კამათი უხერხულია, რადგან ტექსტი ვერ ავლენს, რომ მისი დამწერი ერთმანეთისგან ასხვავებდეს მორალსა და კანონს. სხვათა შორის, ნარკომანიც და ჰომოსექსუალიც ისჯება, თუ მის მოქმედებას თან ახლავს ძალადობა ან სხვისი საკუთრების ხელყოფა — სწორედ ეს ორი ასპექტი აქცევს სუბიექტს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ობიექტად. ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მაგალითები იმისა, როცა მორალისა და კანონის აღრევამ მეტად სავალალო შედეგები გამოიღო: ამ მაგალითებს ჰომეინისტური ირანი და ტალიბების ავღანეთი აწვდის კაცობრიობას.

მაინც რა აიძულებს ადამიანებს, სახარების შარიათამდე დაყვანას? ერთ დროს, დიდი ხნის წინათ, ევროპასაც ახასიათებდა იურიდიულ-თეოლოგიური განურჩევლობა, ან, როგორც **მერაბ მამარდაშვილი** იტყოდა, უგანაჩენობა: მაგალითად, იტალიურ ენაში ჰომოსექსუალის შეურაცხმყოფელი ზედწოდება არის "finocchio" — რაც კვლიავს ნიშნავს. შუასაუკუნეებში, როცა ჰომოსექსუალებს ცოცხლად წვავდნენ, ცეცხლში ამ არომატულ მცენარესაც ურევდნენ, რათა მართლმორწმუნე კათოლიკეთა ყნოსვა ადამიანის დამწვარი ხორცის სიმყრალეს არ შეეწუხებინა.

ეპისტოლეს ტექსტში კიდევ ერთი რამ იწვევს გაკვირვებას: შეშფოთება იმის გამო, რომ ქურდებსა და მკვლელებს სჯიან. აბა, ეგენი რომ არა, ვინ გადასცემდა საპატრიარქოს სახლებს, ვინ აჩუქებდა მანქანებს? ახლახან ხომ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ კრიმინალურ ავტორიტეტს, გვარად **კვარაცხელიას**, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიისთვის გადაუცია თავისი სასახლე, თანაც ისე, რომ სახელმწიფომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. სულ ტყუილად მიადგა სპეცრაზმი — საპატრიარქოს ეკონომიკური საქმიანობა ხომ სრულიად უკონტროლოა ამ ქვეყანაში. სანამ ცოდვის ლეგალიზაციაზე მოვყვებოდით მსჯელობას, იქნებ დღის სინათლეზე გამოვიტანოთ საეკლესიო ქონება?

მაგრამ ეპისტოლეს "მორალისტური" პასაჟი მხოლოდ გარდამავალი მნიშვნელობისაა. ბოლოს და ბოლოს, ეპისტოლეს ტექსტი მოადგება თავის მთავარ სათქმელს. როგორც გახსოვთ, თავიდან ლაპარაკი იყო რაღაც "გარკვეულ ძალებზე", რომლებიც საქართველოში ხელოვნურად ამკვიდრებენ დემოკრატიას და ლიბერალურ ღირებულებებს. თურმე ეს იდუმალი "ძალები" ამაზე არ ჩერდებიან: "**ისინი, რელიგიური თავისუფლების მოტივით, ითხოვენ ყველას თანასწორუფლებიანობას, მაშინ, როდესაც მსგავსი სამართლებრივი მოდელი არც ერთ ტრადიციული კულტურის სახელმწიფოში არ არის**". რომელია "ტრადიციული კულტურის" სახელმწიფო? — პასუხი გაცემულია ოდნავ ზემოთ: "**ვფიქრობთ, ჩვენთვის ბევრის სწავლა შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს მაგალითზე, რომელმაც უმოკლეს დროში მოახერხა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში მიეღწია დიდი წინსვლისათვის და ამასთან, აეშენებინა ტრადიციული და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სახელმწიფო**". მაინც რატომ მოსწონთ ისრაელი? — ერთადერთი მიზეზით: ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი ოფიციალური რელიგიაა. იქნებ უფრო სერიოზულნი ვიყოთ, ბატონებო, ავიღოთ ხელში ფანქარი ან კალკულატორი და რომელიმე სანდო მონაცემების მიხედვით დავითვალოთ, რა წვლილი აქვს ამ ქვეყნის შენებაში მთელ მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ შეღავათებს ისრაელში დამზადებულ პროდუქციაზე?

მაგრამ ნუ ჩავეძიებით ამ წვრილმანსაც და ვნახოთ, როგორ გამოთქვამს ეპისტოლე თავის მთავარ სათქმელს: "**არც ერთ ქვეყანაში არ არის ყველა კონფესიის დიდი დღესასწაული სახელმწიფო უქმე დღედ გამოცხადებული. არც ერთ სახელმწიფოში ჯარში არ მსახურობს ყველა კონფესიის სამხედრო მოძღვარი და. ა. შ., რაც უბრალოდ ქაოსსა და ანარქიას გამოიწვევს. პირიქით, ევროპაში სწორედაც რომ, სხვა მაგალითები გვაქვს: ბრიტანეთის სახელმწიფოს მონარქი ამავდროულად არის ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, ხოლო ეპისკოპოსები — ლორდთა პალატის წევრები არიან; რომის პაპი სახელმწიფოს — ვატიკანის მეთაურია; ვატიკანი კი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი**". აჰა, თურმე რა აწუხებს ჩვენს საპატრიარქოს: განსაკუთრებული როლის შენარჩუნება. თანაც რა საინტერესო მაგალითებია მოყვანილი! ანგლიკანური ეკლესიის წარმოშობა და მეფის მის სათავეში მოხვედრა ერთობ უხერხული და სკანდალური ისტორიაა, რომელიც დაკავშირებულია **ჰენრი VIII**-ის ავხორცობასთან. ვატიკანის სახელმწიფო კი წარმოიშვა როგორც კომპრომისი კათოლიკურ ეკლესიასა და **ბენიტო მუსოლინის** ფაშისტურ რეჟიმს შორის. "**ეს დროებითი საშუალება იყო, შესაძლოა ამაზე უკეთესიც აღმოჩნდეს. ჯერ-ჯერობით, ვფიქრობთ, რომ არ ყოფილა ამგვარი მდგომარეობის ცვლილების სერიოზული საფუძველი. თუმცა ეკლესია ყოველთვის მზადაა განიხილოს ალტერნატიული ვარიანტები**" — ასე ილაპარაკა ათიოდე წლის წინათ ჩემთან საუბარში ვატიკანის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, მონსენიორ **ტურანმა**.

მაგრამ არც ლიბერალიზმის სიძულვილი, არც შუასაუკუნეობრივი ტენდენციების რესტავრირება, არც სახელმწიფო ჰეგემონისაკენ სწრაფვა არ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც ეპისტოლეს ერთ-ერთი ბოლო ნაწილი: "**ამიტომ მოვუწოდებ საქართველოს ეკლესიის ყველა სულიერ შვილს, — როგორც ქართველთ, ისე სხვა ერის წარმომადგენელთ, რომ შვიდგზის ლოცვა გააძლიერონ და ეს იქნება დასაწყისი საქართველოს გაბრწყინებისა**".

განკაცებულმა ღმერთმა ჯვარზე ასვლის წინ მოციქულები თავის სისხლსა და ხორცს აზიარა და უთხრა: "იქმოდეთ ამას, მოსაგონებლად ჩემდა". აქედან წამოვიდა ქრისტიანობა — ევქარისტიული რელიგია. მე კი გეკითხებით თქვენ — სად არის ქრისტე? მაცხოვარი, რომელიც საზოგადოების ყველაზე დაჩაგრულ და გაკიცხულ წევრებთან ჭამდა და სვამდა, რომელიც ამქვეყნიური ძალაუფლების აღიარებას აუცილებელ მსხვერპლად სცნობდა და არა სანუკვარ მიზნად, რომელიც სიძველით კი არ ხიბლავდა თავის მოწაფეებს, არამედ ეუბნებოდა — "აჰა, ყოველივეს ახალს ვქმნი". ვერ ვიპოვეთ იგი ეპისტოლეს პწკარებს შორის. არაფერია, მიჩვეულნი ვართ. მაგრამ ახლა, როცა ქრისტიანობის ცენტრი, ევქარისტია შეიცვალა შვიდგზის ლოცვით (ეს ტექსტები, მახსოვს, 1980-იანი წლების ბოლოს დადგინდა საპატრიარქოში და პატარა წიგნად გამოიცა), ეს უკვე ყოვლად მიუტევებელია.

თუმცა მარტივი გასაგებია: 1) ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს გამოიკვეთა განსხვავება "ეკლესიურებსა" და "არაეკლესიურებს" შორის — აი, როგორც შიდა და უბრალო პარტიელები **ჯორჯ ორუელის** "1984"-ში; 2) მაღალი თანამდებობის მოხელეებს, რიგით მეპატრულეებს, ბიზნესმენებს, ფენოვანი ხაჭაპურის გამყიდველებს, ადვოკატებს, მებაჟეებს, არტისტებს, პოეტებს, ჟურნალისტებს, პროდიუსერებს, მაკლერებს, დიასახლისებს, ოფის-მენეჯერებს, გარე მოვაჭრეებს, პენსიონერებს, სკოლის მასწავლებლებს, ერთი სიტყვით, ყველას, იმათაც კი, ვინც ხსენებულ ოთხმოცდაშვიდ პროცენტში შედის და იმათაც, ვინც დიდ-დიდ დღესასწაულებზე ტაძრებს ავსებს, ზიარებაზე ვერ მიუშვებ. რატომ ვერ მიუშვებ? — იმიტომ რომ ამ გზას სიმძიმისა და სივიწროვის სახელი უნდა შეუნარჩუნდეს, თორემ მრავალი გაივლის და გაკადნიერდება. მით უმეტეს, რომ ჩვენს საპატრიარქოს ხარისხი კი არა, რაოდენობა აინტერესებს: ჰოდა, აქ მისწრებაა შვიდგზის ლოცვა. გააკეთეთ მარტივი მოძრაობები — წინმკლავი, განმკლავი, ზემკლავი — და თქვენ მართლმადიდებელი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ხართ. ნაცნობი სიმღერაა ტოტალიტარულ ჰანგზე.

ამ სიმღერას კი ერთადერთი ბოლო შეიძლება ჰქონდეს: ევქარისტია იგივე ფუნქციას დაიკავებს, რაც პარტიულ ელიტაში დელიკატესური საჭმელების "რასპრედელიტელს" ჰქონდა...

თავი შეგაწყინეთ, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რას ეთანხმება ჩვენი პრეზიდენტი!

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95,77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

მოკლედ

### გალის რაიონში კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

გალის რაიონის სოფელ თაგილონში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, შვიდი ნიღბიანი, ავტომატებით შეიარაღებული პირი ადგილობრივ მცხოვრებ ვალერი გაბისონის იჯახში შეიჭრა. წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელები აფხაზი კრიმინალები იყვნენ, რომლებმაც ვალერი გაბისონია ოჩამჩირის მიმართულებით გაიტაცეს, ოჯახის დანარჩენი წევრები კი სცემეს და დააბეს. როგორც გალის რაონის ქართული გამგეობის პრესმდივანმა თორნიკე კილანავამ განაცხადა, სახლიდან გასვლის დროს კრიმინალებმა დაშინების მიზნით სროლა ატეხეს და თან ოჯახის პატრონის მობილური ტელეფონი გაიყოლეს, რისი მეშვეობითაც ერთ საათში ოჯახის წევრებს დაუკავშირდნენ და მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ, 50 ათასი დოლარი მოითხოვეს. თავდასხმის დროს სახლში ოჯახის ყველა წევრი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვიც იყო, რის გამოც გაბისონიებმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. გაბისონიების ოჯახზე თავდამსხმელთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. თორნიკე კილანავას განცხადებით, შესაძლოა, თავდამსხმელები ქართულ-აფხაზური შერეული კრიმინალური ჯგუფის წევრები არიან, რომლებიც გალის რაიონში ბოლო დროს ორგანიზებულად მოქმედებენ. **24 საათი**

### რუსი სამშვიდობოების წარმომადგენელი მისი თანამებრძოლის ტყვიის მსხვერპლი გახდა

რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცი ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. სერჟანტი რომან ლიბენცოვი კისრის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ სერჟანტი იარაღთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ შეიწირა, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული ვერსია არ დადასტურდა. ცნობილი გახდა, რომ ავტომატური ცეცხლსასროლი იარღი მის თანამებრძოლს და იმავე სამშვიდობო ძალების საგუშაგოს სერჟანტს ზინჩენკოს გაუვარდა, რომლის შედეგად ტყვია ლიბენცოვს კისრის არეში მოხვდა. მას დაუზიანდა საძილე არტერია. როგორც ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი ბადრი შონია განმარტავს, საავადმყოფოში მოყვანისას ჯარისკაცს სიცოცხლის ნიშნები ფაქტიურად არ აღენიშნებოდა. სამშვიდობო ძალების გარდაცვლილი სერჟანტი უკვე გადასვენებულია რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის შტაბში, სადაც მას რუსეთის სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლები ექსპერტიზას ჩაუტარებენ. **ინტერპრესნიუსი**

### ტერმინალ "ოპიზასთან" დაკავშირებით მოწმეებს ხელახლა დაკითხავენ

საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ინტერესების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის მორიგი სხდომის გამართვა მომავალი კვირისათვის იგეგმება. როგორც კომისიის თავჯმდომარემ ფრიდონ რუხაიამ განახადა, ჯერჯერობით სხდომის თარიღი დაზუსტებული არ არის, რაც იმაზე იქნება დამოკიდებული, როდის მოხერხდება კომისიის წევრების შეკრება. რუხაიას ინფორმაციით, კომისია დეპუტატ ბექაურის საკითხთან დაკავშირებით ტერმინალ "ოპიზის" თანამშრომლებისა და სხვა მოწმეების დაკითხვას გააგრძელებს. კომისიის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელახლა დაიკითხონ ის ადამიანებიც, ვინც საგამოძიებო კომისიას ჩვენება ერთხელ უკვე მისცეს. დაარღვია, თუ არა დეპუტატმა კობა ბექაურმა კანონმდებლობა, ამის გასარკვევად საგამოძიებო კომისიას ერთი თვის ვადა აქვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სასამართლო სულხან მოლაშვილის საქმის განხილვას გააგრძელებს

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის პროცესი თბილისის სააპელაციო სასამართლოში დღეს განახლდება. როგორც მოლაშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, დაცვის მხარე აპირებს, სასამართლოს მოლაშვილის დაცვის თაობაზე საკუთარი მტკიცებულებების წარდგენის შუამდგომლობით მიმართოს. მოლაშვილის წინა პროცესზე, 12 იანვარს, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ზოგიერთი მოწმისა და საბუღალტრო ექსპერტის დაკითხვის, ასევე, სასამართლოს შემადგენლობის აცილების თაობაზე.

"ამ უკანასკნელი შუამდგომლობის დაყენება ჩვენთვის არასასურველი იყო, რადგან სასამართლოს შემადგენლობა კომპეტენტური პირებისგან არის დაკომპლექტებული და რიგ შემთხვევაში ობიექტური გადაწყვეტილებებიც გამოუტანია. ამჯერად კი, ალბათ ხელისუფლების მხრიდან სასამართლოზე ზეწოლა ძლიერია", - აცხადებს შალვა შავგულიძე.

სულხან მოლაშვილი სამართალდამცველებმა 2004 წლის 22 აპრილს დააკავეს. მას ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დასდეს. ამ ბრალდებას გამოძიების პროცესში სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ბრალდებაც დაემატა. 2005 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. **მედიანიუსი**

### სახაზინო ადვოკატის სამსახურში სტაჟირების მსურველთა საბუთების მიღება დაიწყო

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურში სტაჟირების მსურველთა საბუთების მიღება დღეს იწყება. როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, საზოგადოებრივ (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის თბილისის გლდანი - ნაძალადევის ტერიტორიულ ბიუროში სტაჟირების მსურველთათვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა საბუთების მიღება იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში იწარმოებს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც იურიდიული განათლების მქონე პირებს, ისე იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს. სტაჟირების მსურველთა საბუთების მიღება 23 იანვრამდე გაგრძელდება, კონკურსში მონაწილეებთან გასაუბრება კი 4 თებერვალს გაიმართება. სტაჟირებისათვის ხუთი კანდიდატი შეირჩევა. **ინტერპრესნიუსი**







# გაჭირვება და ონკოლოგიურ-ნარკოტიკული აფერა

პირველი გვერდიდან

ბოლოს პოლიკლინიკაში პრეპარატის წასაღებად ავადმყოფის მეუღლე ეთერ ყორღანაშვილი მივიდა. როგორც პოლიკლინიკური გაერთიანება "ჯანმრთელობის" დირექტორი მიხეილ ტუხაშვილი იხსენებს, **"იგი თავიდანვე აგრესიული იყო და მეუღლის კუთვნილი წამლის წაღებას კატეგორიულად ითხოვდა. საუბარში გაირკვა, რომ რევაზ ყორღანაშვილი ონკოლოგიურ საავადმყოფოში იწვა. სწორად ამან დაბადა ეჭვი - თუ ავადმყოფი სტაციონარში გადის მკურნალობას, მას ჩვენგან ნარკოტიკი აღარ ეძლევა,"** - ამბობს იგი.

ეთერ ყორღანაშვილს პოლიკლინიკაში წამლის გაცემაზე უარი განუცხადეს. საქმის გასარკვევად კი პოლიცია გამოიძახეს და ეთერ ყორღანაშვილს პირველი ჩვენებაც იქ ჩამოართვეს. მისი საუბრიდან გაირკვა, რომ იგი მეუღლის კუთვნილ ნარკოტიკულ საშუალებას უკანონო რეალიზაციას უკეთებდა. კერძოდ, ეთერ ყორღანაშვილის მიერ თავდაპირველად მიცემულ ჩვენებაში ნათქვამია, რომ მან ასეთი ნაბიჯი გაჭირვების გამო გადადგა. მისივე აღიარებით, ნარკოტიკულ პრეპარატ "მორფიუმს" ხუთ ლარად თავისავე ახლობელს, სიღნაღის მთავარ გინეკოლოგს ეთერ კახეთელიძეს აბარებდა. გარდა ამისა, გამოძიებამ ჩვენება თვით რევაზ ყორღანაშვილსაც ჩამოართვა, რომელმაც "მორფიუმის" მიღება საერთოდ უარყო.

რაც შეეხება ეთერ ყორღანაშვილს, მან, დანაშაულში მხილებულმა, ადვოკატის რეკომენდაციის შემდეგ, ჩვენება შეცვალა, რის გამოც, პოლიციამ ვეღარ დააკავა. **"მტკიცებულების არარსებობის გამო, დაკავება ვერ მოხდა. გამოძიებისას კი უამრავი სხვა საინტერესო დეტალიც გამოიკვეთა, რის გამოც, შესაძლოა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს,"** - აღნიშნა ჩვენთან სატელეფონო საუბრისას სიღნაღის პოლიციის უფროსმა იოსებ ხოხონიშვილმა.

გამოძიება, მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით, ირწმუნება, რომ რეზო ყორღანაშვილის ჯანმრთელობის ისტორია გაყალბებულია, რადგან იგი, მართალია, ონკოლოგიური ავადმყოფია, მაგრამ არა იმ სტადიაზე მყოფი, რომ "მორფიუმი" ესაჭიროებდეს.

რევაზ ყორღანაშვილი "მორფიუმით" მკურნალობას რომ არ საჭიროებდა, ამაზე სიღანაღის პოლიკლინიკური გაერთიანება "ჯანმრთელობის" დირექტორი, მიხეილ ტუხაშვილი იმ დროს ალაპარაკდა, როცა საქმე დანაშაულებრივ ქმედებას შეეხო. თუმცა, იგი პასუხისმგებლობას თავიდან ირიდებს და ხელს პოლიკლინიკის ონკოლოგიური განყოფილებისკენ და თვით ონკოლოგიური ცენტრისკენ იშვერს. **"ავადმყოფის ჯანმრთელობის ისტორია ონკოლოგიურმა ცენტმა შეადგინა, ხოლო პრეპარატს ექიმ-ონკოლოგი უწერდა,"** - განაცხადა ჩვენთან სატელეფონო საუბრისას მიხეილ ტუხაშვილმა.

დანაშაულში მხილებული სიღნაღის მთავარი გინეკოლოგი მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს. უფრო მეტიც, იგი დარწმუნებულია, რომ საქმე უკვე დაიხურა და მისი უდანაშაულობაც დამტკიცდა.

**"ეს აბსურდია. საქმე იმ საღამოს, ეთერის დაკითხვიდან ნახევარ საათში დამთავრდა. ამის შესახებ გამომძიებელმა მითხრა... როგორც ეთერისგან შევიტყე, პოლიციამ ჩემი სახელი ძალით ათქმევინა... ის დაკავებული არ არის და კვლავ ითხოვს ავადმყოფისთვის კუთვნილ "მორფიუმს",** - აცხადებს თამილა კახეთელიძე.

საგულისხმოა, რომ თამილა კახეთელიძე რამდენიმე წლის წინ ნარკორეალიზაციის ბრალდებით იყო დაკავებული.

ამ დროისათვის გამოძიება კვლავ გრძელდება. სამართალდამცველები არ გამორიცხვენ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით, სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმის აუცილებლობაც დადგეს.

# გათავისუფლებული აგჯა, შესაძლოა, კვლავ ციხეში დააბრუნონ

*მეჰმეთ ალი აგჯამ, რომელიც 24 წლის წინ თავს დაესხა რომის პაპს, იოანე პავლე მეორეს, ჯერ ციხიდან გამოსვლა ვერ მოასწრო, რომ კვლავ პატიმრობის საშიშროების წინაშე დადგა. თუ იტალიის ხელისუფლებამ მას რომის პაპზე თავდასხმა აპატია და შეიწყალა, თურქეთის ხელისუფლება თურქეთში ჩადენილ დანაშაულებს ვერ პატიობს.*



*მეჰმეთ ალი აგჯა ციხიდან ბადრაგის თანხლებით გამოვიდა.*

მეჰმეთ ალი აგჯას ციხიდან გათავისუფლებისთანავე თურქეთის იუსტიციის მინისტრმა ჯემილ ჩიჩეკმა განაცხადა, რომ მან ბრძანება გასცა, რომ ხელახლა გადაიხედოს აგჯას საქმე, რომელიც თურქეთის ციხიდან ხუთშაბათს, 12 იანვარს გაათავისუფლეს. მინისტრისვე განცხადებებიდან ნათლად ჩანდა, რომ ის არ გამორიცხავს აგჯას კვლავ ციხეში დაბრუნებას.

**"შესაძლოა თუ არა, რომ მართლმსაჯულებამ შეცდომა დაუშვას? დიახ, შესაძლებელია"**, - უპასუხა თავისსავე დასმულ შეკითხვას მინისტრმა. მანვე განაცხადა, რომ საკასაციო სასამართლოსგან მოითხოვს 48 წლის აგჯას ურთულესი საქმის ხელახლა შესწავლას.

**"მე არ ვამბობ, რომ მისი გათავისუფლება შეცდომა იყო. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ შეცდომა დასაშვებია"**, - თქვა მან ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას.

მანვე საკმაოდ ნათლად გამოთქვა ვარაუდი, რომ საქმის ხელახლა შესწავლას, შესაძლებელია, აგჯას ციხეში დაბრუნება მოჰყვეს.

**"ასეთი შემთხვევები ყოფილა... გათავისუფლება შეძენილი უფლება როდი გახლავთ"**, - აცხადებს იგი.

როგორც ცნობილია, 2000 წელს, რომის პაპზე თავდასხმის გამო იტალიის ციხეებში 19 წლის გატარების შემდეგ, აგჯა სტამბულის ციხეში გადაიყვანეს. თურქეთში ის სულ სხვა დანაშაულებისთვის, კერძოდ, 1979 წელს ცნობილი თურქი ლიბერალი ჟურნალისტის აბდი იპეკჩის მკვლელობისა და 70-იან წლებში ორ ბანკზე თავდასხმისთვის იხდიდა 36 წლიან სასჯელს. მაგრამ მას 2002 წელს გამოცხადებული ამნისტიაც შეეხო და შარშან თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში გატარებული რეფორმაც, რომლის თანახმადაც მსჯავრდებულებს საპატიმრო ვადები შეუმცირდათ.

აგჯას ვადამდე გათავისუფლებამ თურქეთში მწვავე პოლემიკა გამოიწვია.

**"თურქეთის ხელისუფლებას დღემდე გასაგებად არ აუხსნია, რომელი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გადაწყვიტა მისი გათავისუფება"**, - წერს ფრანგული გაზეთი "ფიგარო".

აბდი იპეკჩის ადვოკატმა თურგუთ კაზანმა კი, აგჯას გათავისუფლების დღეს CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ, თუ საჭირო გახდება, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიმართავს.

**"დღეს კანონი მოკლეს"**, - ასეთი მრავალმნიშვნელოვანი ფრაზით დაასრულა მან ხსენებული ინტერვიუ.

*24 საათი*

# ხმაური დამწვარი ლეიბების გამო

გუშინ დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორთაჭალის საპყრობილის კარცერის ტერიტორიაზე მხუთავი კვამლი გაუშვეს. ამავე ინფორმაციის მიხედვით, მხუთავი კვამლის გამო პატიმრებს, მათ შორის შალვა რამიშვილსაც, სუნთქვა უჭირდათ და მათ ციხის ადმინისტრაციისგან სასაწრაფო რეაგირება მოითხოვეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ინციდენტი იზოლატორში მართლაც მოხდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ კარცერში მხუთავი კვამლის გაშვების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

**"შალვა რამიშვილის საკნის მეზობელ საკანში პატიმრებმა ლეიბებს წაუკიდეს ცეცხლი. კვამლიც ამის გამო გაჩნდა. თუმცა, ციხის ადმინისტრაციამ ამაზე სწრაფი რეაგირება მოახდინა და ცეცხლი მაშინვე ჩააქრო. ეს იყო ჩვეულებრივი პროვოკაცია პატიმრების მხრიდან. შემთხვევის გამო არავინ, მათ შორის, არც შალვა რამიშვილი დაზარალებულა,"** - ასეთია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაცია.

ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელის შალვა რამიშვილის ადვოკატის გოჩა სვანიძის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს კარგად გრძნობს და მის ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. **"მხუთავი კვამლის გაშვების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ დასტურდება,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შალვა რამიშვილის ინტერესების დამცველმა. მისივე თქმით, ერთ-ერთ საკანში პატიმრის ლეიბს ცეცხლი გაუჩნდა, რის გამოც კვამლმა რამიშვილის საკანშიც შეაღწია.

**"იქ მყოფმა პატიმრებმა ყვირილი ატეხეს და ვინაიდან საკანში ბოლის გამო პატიმრების ყოფნა მიზანშეწონილი აღარ იყო, რამიშვილი სხვა პატიმრებთან ერთად სხვა ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ისინი თავს კარგად გრძნობენ",** - განაცხადა ადვოკატმა.

დავით კოხრეიძის ძმის, გოგა კოხრეიძის ინფორმაციით, რამდენიმე საკანში ლეიბები დაიწვა, ხანძარს პატიმრებში პანიკა მოჰყვა.

**"სრულყოფილი ინფორმაცია ციხეში მომხდარ ფაქტზე არ მაქვს, ვინაიდან ვერც ძმასთან და ვერც შალვა რამიშვილთან დაკავშირებას ვერ ვახერხებ. კარცერში ყველანაირი ნივთის შეტანა იკრძალება. არავინ იცის, იქ რა მოხდა,"** - განაცხადა გოგა კოხრეიძემ. მისივე ინფორმაციით, ორი დღის წინ, სასამართლო პროცესის შემდეგ, დავით კოხრეიძის საკანში სპეცნაზმა ჩხრეკა ჩაატარა.

**"სასამართლო სხდომის შემდეგ ჩემს ძმას საკანში მხოლოდ ხმელი პური დაააახვედრეს. ჯვრები, წიგნები და პირადი ნივთები საკნიდან გატანილია. საკანში შეცვალეს პატიმრებიც. რაც შეეხება შალვა რამიშვილს, ის კარცერში 15 დღით არის გადაყვანილი. მისი მდგომარეოპბის შესახებ არაფერია ცნობილი,"** - აცხადებს გოგა კოხრეიძე.

*24 საათი*

# ციხეებში ამანათების შეგზავნის პროცედურა მკაცრდება

პატიმრებისთვის შესაგზავი ამანათების სია საგრძნობლად შემცირდება. სასჯელაღსულების დაწესებულების თბილისის N7 საპყრობილის დირექტორის მოადგილის სერგო ხულორდავას განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაიკვრება იმ ნივთების სია, რომელთა შეტანა დაწესებულებებში დასაშვები იქნება. მისი განმარტებით, ადრე არსებული ჩამონათვალი მნიშვნელოვნად მცირდება, ეს სანქცია გავრცელდება როგორც პროდუქტებზე, ასევე სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებზე. ხულორდავას თქმით, პარალელურად გახშირდება რეიდები, რომლებიც საკნებში ჩატარდება. ხოლო ის პირები, რომლებიც პატიმრებს სიით დაშვებული ნივთებისგან განსხვავებულ ამანათებს შეუგზავნიან, კანონით დაისჯებიან. რა სახის სასჯელს დაიმსახურებენ პატიმრების გულშემატკივრები, ამ ეტაპზე უცნობია. სამაგიეროდ, N7 საპყრობილის დირექტორის მოადგილე ირწმუნება, რომ ამჟამად საპყრობილეში არსებული ვითარება სტაბილურია და პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან ელექტროენერგიით, წყლით და გათბობით.

*ინტერპრესნიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური [illegible];
2. მეტროს სადგური [illegible];
3. მეტროს სადგური [illegible];
4. მეტროს სადგური [illegible];
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible];
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური [illegible];
10. [illegible] "24 საათის" [illegible];
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" [illegible];

"24 საათის" მკითხველს, [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საახალწლო ანაბარი

წლიური

# 11,75%

დოლარი / ევრო




## + საჩუქრად



- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

მოკლედ

## ბიორნდალენმა თავი უღელში გაყო



თანამედროვე ბიატლონის უბადლო ოსტატი, მოწინავე, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი და კიდევ ვინ იცის რა. ერთი სიტყვით, ვიკინგების შთამომავალი ნორვეგიელი ოლე-ეინარ ბიორნდალენი ოჯახურ კარიერას იწყებს. მახარობლებმა თქვეს, 28-29 ვარდობისთვეს დიდი ჩემპიონი იტალიელ კოლეგა ნატალი სანტერზე ჯვარს იწერსო. ქორწილში, რომელიც პატარძლის სამშობლოში გაიმართება, უამრავ სტუმარს ელიან, მათ შორის ისეთ საპატიო სტუმარს, როგორიცაა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი.

საგულისხმოა, რომ ბიორნდალენისა და სანტერის წყვილი, რომლებსაც დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ, პირველი შეყვარებულები არ არიან, რომელიც ბიატლონისტთა სამყაროს უნახავს. მოქმედ სპორტსმენებს შორის არ შიძლება არ გავიხსენოთ რაფაელ პუარესა და ლივ-გრეტე შელბერდის ოჯახური დუეტი. ასეთი ოჯახი სხვაც ბევრი არსებობს როგორც მოქმედ, ისე პენსიაზე გასულ სპორტსმენთა შორის.

ბიორნდალენის სახელი არავისთვის არ არის უცხო, თუმცა, პატარძალი საქმროს ტიტულატურით ვერ შეეჯიბრება. ოლიმპიურ თამაშებსა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბიორნდალენის გულისწორს მედალი არ ღირსებია. თუმცა, მსოფლიო თასის ეტაპებზე არაერთხელ ასულა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მსოფლიო თასის ეტაპებზე წარმატებებმა კი ნატალი სანტერს იტალიის ყველა დროის საუკეთესო ბიატლონისტის სახელი მოუტანა.

თუმცა, ამავე რანგის ასპარეზობაზე ერთხელ იმდენი მოახერხა, რომ ქალთა ესტაფეტაში საცეცხლე ხაზს ხუთიდან ხუთჯერ ააცილა. ალბათ იმიტომ, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე ბიორნდალენთან შეუღლება წყვილმა ოფიციალურად გამოაცხადა.

ქორწინებამდე ნეფე-პატარძალს საკმაო ოფლის ღვრა მოუწევთ - თებერვალში ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე უნდა იასპარეზონ.

## "დაკარი 2006" ფინიშამდე დასრულდა

"დაკარი 2006" რალი-რეიდის ბოლო ეტაპის წინ ანუ გუშინ რბოლის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევების გამო, როდესაც ავტომობილის ბორბლებს ქვეშ მოყოლილი ორი ბიჭუნა დაიღუპა, ბოლო სპეციალურ მონაკვეთზე დროის კონტროლი არ იქნებაო.

ასე რომ, რბოლის მონაწილეებს ისღა დარჩენოდათ, 110 კილომეტრი ფაქტობრივად სიმბოლურად გაევლოთ, რაც რბოლის ჩათვლაზე არანაირ გავლენას არ მოახდენდა.

აქედან გამომდინარე "დაკარი 2006"-ის გამარჯვება ავტომობილების კლასში მოიპოვა ფრანგმა ლიუკ ალფანმა, ხოლო მოტომრბოლთა შორის საუკეთესოა ესპანელი მარკ კომა. რაც შეეხება სატვირთოთა კლასში გამარჯვებულის ვინაობას, ეს "კამაზით" მოასპარეზე ვლადიმირ ჩაგინის რუსული ეკიპაჟია. ამავე კლასში შარშანდელი რალი-რეიდის გამარჯვებულმა, ასევე რუსმა ფირდაუს კაბიროვმა ამჯერად მესამე ადგილი დაიკავა.

## მიშელ ქვანი გაოლიმპიელდა

აშშ-ის ფიგურული სრიალის ფედერაციამ ტორინოს საოლიმპიადო განაცხადში შეიყვანა ქვეყნის ცხრაგზისა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიშელ ქვანი. როგორც "ასოშეიტედ პრესი" გვამცნობს, ქვანს ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში არ უასპარეზია. მიუხედავად ამისა, იგი საოლიმპიადო ნაკრებში მაინც შეიყვანეს.

## კულჰარდს 13 აღელვებს

"რედ ბულის" შოტლანდიელი პილოტი დევიდ კულჰარდი Autosport-თან ინტერვიუში აცხადებს, რომ ახლანდელ გუნდთან 2007 წლამდე აპირებს დარჩენას.

"კარიერაში 13 გამარჯვება მქონდა, - აცხადებს 34 წლის რედბულელი, - ეს კი არცთუ სასიამოვნო რიცხვია. ასე რომ, კარიერის დამთავრებამდე მინდა გამარჯვებათა რიცხვი 14-მდე გავზარდო".

## რუნი ორგზის თვის საუკეთესოა

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი უეინ რუნი 2005 წლის დეკემბრის პრემიერ-ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. 20 წლის რუნიმ დეკემბერში შვიდ მატჩში 5 გოლი გაიტანა და ჩემპიონატში გატანილი ბურთების რაოდენობა 10-მდე გაზარდა.

საგულისხმოა, რომ რუნი მეორედ დასახელდა თვის საუკეთესო მოთამაშედ. პირველი ასეთი ჯილდო შარშან თებერვალში ერგო.

ფეხბურთი

## "დინამო" ცსკა-ს დუბლმა "გააფუჭა"

მიხეილ აბაიშვილი



"დინამო" გათამაშებას გამოეთიშა.

ძველით ახალ წელს, 14 იანვარს, რუსეთის დედაქალაქში სტარტი აიღო თანამეგობრობის თასის მე-14 გათამაშებამ, რომელშიც, ტრადიციულად, საქართველოს ჩემპიონიც მონაწილეობს. წილისყრამ თბილისის "დინამო" A ჯგუფში მოახვედრა რუსეთის ჩემპიონ ცსკა-სთან, ესტონურ ტვმკ-სთან და ყაზახეთის "ფახთაქორთან" ერთად. პირველივე მატჩში ცხადაძის შეგირდებს მრისხანე მეტოქე ჰყავდათ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის მოსკოვის ცსკა-ს სახით. თუმცა, მრისხანე უფრო სახელი იყო, ვიდრე გუნდი. ცსკა-ს ძირითადი შემადგენლობა შვებულებიდან მხოლოდ ამ თამაშის მეორე დღეს დაბრუნდა და საწვრთნელი შეკრება დაიწყო. გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი მატჩს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს, რადგან ტურნირში ცსკა-ს სახელით ამ გუნდის დუბლშემადგენლობა მონაწილეობს. მატჩში, რომელიც სპორტკომპლექს "ოლიმპიისკიში" გაიმართა, "დინამოს" მეტოქეობა გაუწია ძირითადად 17-18 წლის იუნიორი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, რომელთაგან მხოლოდ ორი იყო 20 წლის ასაკამდე "მიღწეული". ამის მიუხედავად, ცსკა-ს დუბლშემადგენლობამ არათუ ტოლი არ დაუდო საქართველოს ჩემპიონს, არამედ მთელ რიგ სათამაშო კომპონენტებში საგრძნობლად დაჩაგრა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

**ცსკა (მოსკოვი) - "დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0)**

**ცსკა:** ჯანაევი, სამოდინი (ვასილიევი, 86`), კოჩუბეი, პრავოსუტი (სალულინი, 46`), ტარანოვი, საფონოვი, დენისოვი (ბლოხა, 75`), გრიგოროვი, სტეპანეცი (ფრანცუზი, 46`), მალიუკოვი, ტატარჩუკი (კირილენკო, 46`).

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, აკობია (ფირცხალავა, 79`), ნავალოვსკი, ნოზაძე, მახარაძე (ჩირიკაშვილი, 46`), მერებაშვილი (თომაშვილი, 46`), ბობოხიძე (ახალაია, 65`), მეგრელაძე, მელქაძე (დვალი, 65`).

**გოლი:** კირილენკო 74`.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ცხადაძემაც საკმაოდ ახალგაზრდული შემადგენლობა დაუპირისპირა მეტოქეს. ალბათ გასათვალისწინებელია ისიც, რომ "დინამო" პრაქტიკულად ახლა იწყებს სეზონისათვის მზადებას და, შესაბამისად, გუნდი ძალზე შორსაა ოპტიმალური სპორტული ფორმისგან. მაგრამ, ამ მიზეზების გათვალისწინებითაც კი, საქართველოს ჩემპიონმა მატჩი ძალზე სუსტად ჩაატარა. საწყენი ის არ არის, რომ "დინამომ" წააგო თამაში. შეხვედრის მიწურულს ქართველმა ფეხბურთელებმა გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი გაუშვეს ხელიდან, როცა ჯერ პირისპირ გასული მეგრელაძის უძლიერესი დარტყმა მოიგერია მოსკოველთა მეკარემ, ხოლო შემდეგ დამატებაზე დვალის დარტყმული გამოიტანა კარის ხაზიდან ცსკა-ს მცველმა. ეს გოლი რომ გასულიყო კიდეც და მატჩი ფრედ დამთავრებულიყო, ესეც ვერ გაანეიტრალებდა "დინამოს" უსუსური თამაშით მიღებულ დამთრგუნველ შთაბეჭდილებას. თავად განსაჯეთ: მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში "დინამომ" ერთხელაც ვერ დაარტყა ცსკა-ს დუბლების კარში! მდგომარეობის ტრაგიზმს კიდევ უფრო ის ამძიმებს, რომ "დინამომ" ამ შეხვედრაში სამი გამოკვეთილი თავდამსხმელით ითამაშა (პირველ ტაიმში - მელქაძე - მეგრელაძე - ბობოხიძე, მეორე ტაიმში - მეგრელაძე - დვალი - ახალაია). საერთოდ, ძალზე თვალშისაცემი იყო სათამაშო კლასში სხვაობა თამაშის ორგანიზაციის თვალსაზრისით. ახალგაზრდული ცსკა-ს ყველა რგოლი ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული. ბურთის დაკარგვის შემთხვევაში გუნდი ყოველთვის ასწრებდა დაცვაში მწყობრად ჩასვლას და საკუთარი კარის მისადგომების საიმედოდ გადაკეტვას. საპირისპიროდ, "დინამოს" ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზი ვერ ასწრებდა წრაფი ფლანგური შეტევების დროულად ლოკალიზებას, რის გამოც გრიშიკაშვილის კართან პერმანენტულად იქმნებოდა მწვავე მომენტები. საბედნიეროდ, ქართველმა მეკარემ შეხვედრის პირველ ნახევარში საკუთარი მცველ-ნახევარმცველების ყველა შეცდომის გამოსწორება ბოლო ზღურბლზე მოახერხა.

თვალშისაცემი იყო ცსკა-ს უპირატესობა შუა ხაზში. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოედნის ცენტრში არმიელი ნახევარმცველები დომინირებდნენ, რაც ცსკა-ს სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას უზრუნველყოფდა. საერთო ჯამში, ცსკა-მ გაცილებით გააზრებულად ითამაშა, ლამაზი გოლიც გაიტანა "დინამოს" დაცვის ხაზის უხეში შეცდომების წყალობით და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა.

ქვეჯგუფის მეორე შეხვედრაში "ფახთაქორმა" აშკარად დაჯაბნა ტალინის ტვმკ. შუააზიელმა ფეხბურთელებმა ესტონეთის ჩემპიონს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და პირველი ტურის შემდეგ ჯგუფის ლიდერები გახდნენ.

**P.S.**

"დინამო" - "პახტაქორი" .........1:2

ცსკა - ტვმკ .....................1:0

სათხილამურო სპორტი

## ქალვაჟური ბარი-ბარი

გიგა გურასაშვილი

*სამთოსათხილამურო ტრასებზე, გუშინდელის ჩათვლით, მსოფლიო თასის ექვსი ეტაპი გაიმართა. აქედან სამი ვაჟებმა გაითამაშეს, სამიც - ქალებმა. სამ ეტაპს შვეიცარიამ უმასპინძლა, სამს - ავსტრიამ. ერთი სიტყვით, ამ მხრივ ბარი-ბარში არიან როგორც მონაწილეები, ისე მასპინძლები. მხოლოდ დისციპლინებში იყო სხვაობა. გუშინ ვენგენში (შვეიცარია) ვაჟთა სლალომში გათამაშებულ ეტაპს თუ არ ჩავთვლით, სხვა დანარჩენი ჩქაროსნული ასპარეზობები გახლდათ. თითოეულ ეტაპზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, მხოლოდ იმას გამოვარჩევთ, რომელიც უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია.*



კოსტელიჩმა მსოფლიო თასზე ხუთი მიიღო.

შაბათს ბედ კლეინკირხეიმის (ავსტრია) ფერდობებზე დაშვებაში კარიერის პირველი მსოფლიო თასის ეტაპის მოგების შემდეგ ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა სუპერგიგანტშიც წარმატებას მიაღწია. ფინიშის ხაზი რომ გადაკვეთა, აბსოლუტურ ჩათვლაში მოწინავე პოზიციაზე მყოფი ხორვატი სიხარულს ვერ ფარავდა. არა იმიტომ, რომ გამარჯვებები უცხოა მისთვის, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიო თასის გათამაშებათა ისტორიაში კოსტელიჩი მესამე ქალია, რომელმაც ხუთივე დისციპლინაში გაიმარჯვა. მანამდე ამ რანგის ასპარეზობაზე თავს იწონებდნენ შვედი პერნილა ვიბერგი და ავსტრიელი პეტრა კრონბერგერი. კოსტელიჩის წინამორბედებმა ხუთივე დისციპლინაში 1990 წელს გაიმარჯვეს. დღეის იქით კოსტელიჩიც მათ შორისაა.

ყველა ტიტულის მატარებელ ხორვატს, რომელმაც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქროს მედალი დაისაკუთრა, ცოტა ხანში სესტრიერის თოვლშიც მოუწევს "ოქროების" დაცვა (ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე სამთომოთხილამურეთა აპარეზობებს სწორედ სესტრიერის ტრასები უმასპინძლებს.-რდ.).

"ჯერ კიდევ არ მჯერა იმის, რაც გავაკეთე, - დაბნეული ამბობდა კოსტელიჩი, - ისეთი ბედნიერი ვარ, რომ არც კი ვიცი რა ვთქვა. მით უმეტეს, რომ სუპერგიგანტში ასეთ წარმატებას არ ველოდი".

24 წლის ხორვატი მოთხილამურის ანგარიშზე მსოფლიო თასის 24 მოგებული ეტაპია.

სუპერგიგანტი იმითაც იყო საინტერესო, რომ ავსტრიელმა მიხაელა დროფმაისტერმა თანაგუნდელ ალექსანდრა მაისნიცერთან მეორე ადგილი გაიყო. ავსტრიელი ქალები შეჯიბრების დაწყებამდე სუპერგიგანტის საერთო ჩათვლის სათავეში იყვნენ.

ორიოდე სიტყვა ვაჟებზე. თუ იტალიელმა ჯორჯო როკამ გუშინ სეზონის მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, ამასთან ზედიზედ, აბსოლუტური ჩათვლის მოწინავე ავსტრიელმა ბენიამინ რაიხმა მეოთხედ გაანიავა ის უპირატესობა, რომელსაც პირველივე დაშვებისას ეუფლებოდა. მიუხედადავად ამისა, 706 ქულით ავსტრიელი მაინც საკმაო უპრატესობას ინარჩუნებს აბსოლუტურ ჩათვალში. როკამ კი ამავე ჩათვლაში 536 ქულით (აქედან 500 ქულა სლალომისტთა შორის გამარჯვებათა დამსახურებაა) მეცხრედან მეხუთე საფეხურზე გადაინაცვლა.

**13 იანვარი.**
**ვენგენი, შვეიცარია**
**დაშვება კომბინაცია**
**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ბენიამინ რაიხი | 2:38.46 |
| ჩედილ ანდრე ომოდტი | 2:38.65 |
| პეტერ ფილი | 2:38.78 |

**ბედ კლეინკირხეიმი, ავსტრია**
**დაშვება**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| ანია პერსონი | 1:37.70 |
| მიხაელა დორფმაისტერი | 1:37.74 |
| ფრენც აუფდენბლატენი | 1:37.78 |

**14 იანვარი**
**ბედ კლეინკირხეიმი, ავსტრია**
**დაშვება**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| იანიცა კოსტელიჩი | 1:37.96 |
| ნიკ ბენტი | 1:38.13 |
| მიხაელა დორფმაისტერი | 1:38.53 |

**ვენგენი, შვეიცარია**
**დაშვება**
**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| დარონ რალვზი | 2:30.54 |
| მიხაელ ვალშოფერი | 2:30.94 |
| ფრიც შტრობლი | 2:31.60 |

**15 იანვარი**
**ბედ კლეინკირხეიმი, ავსტრია**
**სუპერ გიგანტი**
**ქალები:**

| | |
|---|---|
| იანიცა კოსტელიჩი | 1:09.41 |
| მიხაელა დორფმაისტერი | 1:09.51 |
| ალექსანდრა მაისნიცერი | 1:09.51 |

**ვენგენი, შვეიცარია**
**სლალომი**
**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ჯორჯო როკა | 1:42.28 |
| კალე პალანდერი | 1:42.48 |
| ალოის ფოგლი | 1:42.79 |

ჩოგბურთი

## კაცი, რომელიც ყმაწვილებს ეთამაშება

დღეს სტარტს იღებს სეზონის პირველი "დიდი სლემის" ტურნირი - ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შეჯიბრებაზე განაცხადი გააკეთა პლანეტის ყველა უძლიერესმა ჩოგბურთელმა. ტრავმირებული მარატ საფინი კი ვერ დაიცავს ტურნირის გამარჯვებულის წოდებას.

საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ავსტრალიის ღია ჩემპიონატმა სამჯერ შეიცვალა დასახელება და ექვს სხვადასხვა ადგილას გაიმართა: ახალ ზელანდიაში, სიდნეიში, ადელაიდაში, ბრისბეინში, პერტსა და მელბურნში. აქ 1972 წელს ავსტრალიის ჩოგბურთის ასოციაციამ, რომლის პატრონაჟითაც ტარდება ტურნირი, გადაწყვიტა საბოლოოდ სწორედ მელბურნში დააფუძნოს შეჯიბრება. ამ გადაწყვეტილებიდან 16 წლის შემდეგ აშენდა სტადიონი "მელბურნ პარკი", სადაც ტარდება კიდეც თამაშები.

ვაჟთა შორის გამოკვეთილი ფავორიტი მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი როჯერ ფედერერია, რომელსაც სახელოვანმა ჯონ მოკინროიმ უწოდა "კაცი, რომელიც ყმაწვილებს ეთამაშება". "თუ ფედერერი თავის დონეზე ითამაშებს ან ოდნავ მაინც მიუახლოვდება მას, გამარჯვება გარანტირებული აქვს", - დაასკვნა ლეგენდარულმა ამერიკელმა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მელბურნში არ ითამაშებენ მსოფლიოს მეორე ჩოგანი ესპანელი რაფაელ ნადალი, ტურნირის შარშანდელი ტრიუმფატორი, რუსი მარატ საფინი და ამერიკელი სუპერვეტერანი ანდრე აგასი, მაშინ გამოდის, რომ როჯერ ფედერერს ღირსეული მეტოქე მართლაც ცოტა ჰყავს. ძირითად მეტოქეებად მიიჩნევენ ტურნირის მასპინძელ ლეიტონ ჰიუიტს, ამერიკელ ენდი როდიკსა და არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს.

თავის გამოდება შეუძლია არგენტინელ გილიერმო კორიასაც. "მთავარია, რომ მეტოქეები არ გრძნობენ იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რომელსაც საკუთარ თავზე მუდმივად განიცდის შვეიცარიელი. მისგან მხოლოდ გამარჯვებას მოელიან. როდიკმა გასულ სეზონში ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ჰიუიტს სათამაშო პრაქტიკა აკლია და, აქედან გამომდინარე, საკუთარ თავშიც ბოლომდე დარწმუნებული არ არის. მხოლოდ ნალბანდიანია ის ფიგურა, რომელიც წლიდან წლამდე პრობლემებს უქმნის როჯერ ფედერერს. არგენტინელი უაღრესად ძნელად პროგნოზირებადი ჩოგბურთელია და თან ისინი ბადეების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ნალბანდიანი მოუწყობს მსოფლიოს პირველ ჩოგანს ტურნირის ფინალში გამოცდას. თუმცა ამისთვის მას ჯერ როდიკთან გამკლავება მოუწევს", - განმარტა მაკინროიმ.

ქალთა შორის უფრო ბუნდოვანი სიტუაციაა. გამოკვეთილი ლიდერი არ არსებობს და პირველი ოცეულის ჩოგბურთელებიც მწყობრში არიან. ტურნირზე პლანეტის 50-დან 46-მა საუკეთესო ჩოგბურთელმა გააკეთა განაცხადი. ასე რომ, მაყურებელი ნამდვილად არ მოიწყენს. მიუხედავად იმისა, რომ განთესვის დროს პირველი ნომერი ამერიკელ ლინდსი დევენპორტს ერგო, ბევრი სპეციალისტი ფავორიტად მას კი არა, არამედ ბელგიელ ჟიუსტინ ენინ-არდენს მიიჩნევს.

23 წლის ბელგიელმა ტრავმისა და ტკივილების გამო გასული ორი სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა, თუმცა ამჟამად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აწუხებს. "მან იცის, როგორ გაიმარჯვოს და წარმატების არ ეშინია. საკითხავი ის არის, გაძლებს თუ არა ჟიუსტინი ფიზიკური თვალსაზრისით, მაგრამ სიდნეის ტურნირის მსვლელობისას ჟიუსტინ ენინ-არდენმა შესანიშნავი ფორმა წარმოგვიდგინა და თუ ის ამ ფორმას შეინარჩუნებს, პრაქტიკულად დაუმარცხებელი იქნება", - განაცხადა ავსტრალიური ჩოგბურთის ვეტერანმა რენე სტაბსმა.

მელბურნში დიდი დივიდენდით სარგებლობდა კიდევ ერთი ბელგიელი კიმ კლიისტერსი. თუმცა ბარძაყის ტრავმამ, რომელიც ჩოგბურთელმა ტურნირის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მიიღო, შეიძლება მას წარმატებულ გამოსვლაში ხელი შეუშალოს.

მთლად ჯანმრთელად არ არის მარია შარაპოვა. მას მხრის ტრავმა აწუხებს. "მარია ნამდვილი მებრძოლია, მაგრამ ტკივილის ზღვარზე გამარჯვება ძნელია. ვინუს უილიამსს უძლიერესი დარტყმა აქვს, მაგრამ ავსტრალიაში მას აშკარად არ უმართლებს. რაც შეეხება მის დას სერენას, ის ტურნირის შანრშანდელი გამარჯვებულია, მაგრამ მას მთელი თავისი შესაძლებლობების გამოვლენაში მუხლის ტრავმა უშლის ხელს. ამელი მორესმოს პრობლემები კი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვლინდება", - განაგრძო სტაბსმა.

ჩოგბურთის მოყვარულები მოუთმენლად ელიან მელბურნის კორტებზე შვეიცარიელი მარტინა ჰინგისის გამოჩენას. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ პირველივე ტურნირზე ნახევარფინალში გავიდა. თუმცა იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე მარტინა ჩოგბურთის გარეშე ცხოვრობდა, ქალთა ჩოგბურთი უფრო ძალისმიერი გახდა. ამის გამო ჰინგისს გაუჭირდება ფიზიკურად ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილი.




# ნიუ იორკის ორფეოსი ვუდი ალენი 70 წლისაა

პირველი გვერდიდან

მე მაგიდასთან ვზივარ, სწორედ იმ ამაღლებულ ადგილთან, სადაც ვუდი და ორკესტრი არიან. რაღაც ოთხიოდე მეტრი გვაშორებს. ალენი კარგად ჩანს. რამდენიმე წელია არ შევხვედრივარ. დაბერებულა, მოტეხილა, გამელოტებულა, მხრებში მოხრილა. უზარმაზარი სათვალე მთელ სახეს უფარავს. კრიტიკოსები ერთხმად გაიძახიან, რომ მას აღარ ძალუძს იმ სიმპათიური ნევროტიკის თამაში, რომელზეც ასე გიჟდებოდა სუსტი სქესი...

კონცერტის შემდეგ ერთმანეთს ვესაუბრებით. ვუდის სადღაც ეჩქარება. მისი მენეჯერი, ხელში ფრანგული ღვინით სავსე უზარმაზარი ბოთლი რომ უკავია, კიდევ უფრო აჩქარებს. ვუყურებ და რაღაც-რაღაცებს ვიხსენებ, მაგრამ რისთვის? ნიუ იორკი უკვე "სულ სხვაა", არავუდისეული და ჩვენც "სხვები" ვართ.

სიმბოლურია, რომ თავისი ბოლო ფილმი Match Point ბრწყინვალე მორალური თრილერი, რომელშიც მთავარ როლს სკარლეტ იოჰანსონი თამაშობს, ალენმა ნიუ იორკში კი არა, ლონდონში გადაიღო. მაგრამ, როცა ნამდვილი ნიუიორკელი ფილმის გადასაღებად სხვა ქვეყანაში მიდის, ეს საემიგრაციო პროცესს ან გადასახლებას ემსგავსება. 2005 წლის აგვისტოში ალენი კვლავ ჩადის ლონდონში ხელმეორე გადაღებებისთვის. ეს მისი 36-ე ფილმია. Scoop - კომედია პრესის ჟურნალისტების ცხოვრებას ასახავს. აქაც მთავარ როლს განუმეორებელი სკარლეტი თამაშობს (ფილმის სიუჟეტს ალენი არ ახმაურებს. მხოლოდ ამბობს, რომ მას არაფერი აქვს საერთო ანალოგიური სახელწოდების ივლინ ვოს რომანთან). ენერგიული სკარლეტი დაუფარავი აღფრთოვანებით რეჟისორს აშინებს. "ფრთხილად, - პასუხობს ვუდი, - მე ძალზე ფაქიზი ვარ." გადაღებები ახლოაღმოსავლეთელებით დასახლებულ რაიონში მიმდინარეობს. თმაგაშლილი ქერა სკარლეტი სხვა სამყაროდან მოვლენილ ფერიას ჰგავს და ალენი მის "მიწაზე ჩამოყვანას" ცდილობს. ამასობაში ვუდის გამვლელები სცნობენ, გარს ეხვევიან, ზოგიერთი ავტოგრაფს სთხოვს. ისიც თავაზიანად არიგებს. ასე იყო მანჰეტენზეც, მაგრამ ეს ლონდონია. ალენი ევროპას უფრო ჰყვარებია, ვიდრე ამერიკას.

არადა, არც ისე დიდი ხნის წინ ამერიკული აუდიტორია და ჰოლივუდური სტუდიები ვუდი ალენს ეთაყვანებოდნენ. მათ თვალში ის არა მხოლოდ უფლისწული, არამედ უცოდველი უფლისწული იყო. ახლა მისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. ალენის ერთგული მეგობარ-კინოკრიტიკოსებიც კი მის ნებისმიერ ახალ ფილმს გულგრილად ხვდებიან. როგორც ჩანს, უკვე სამუდამოდ გაწყვეტილია ოსტატისა და ურბანული ამერიკის დამაკავშირებელი ძაფი. ამერიკამ თავად მოიკვეთა იგი.

უცოდველობის იმიჯი 2002 წლის 5 ინვისს "ნიუ იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულმა სტატიამ დაამსხვრია. "ჯადოქარი-მაყურებლის წყევლა: ვუდი ალენი ხელოვნებასა და ცხოვრებაში". ასე ერქვა სტატიას, რომელშიც ორი კინოკრიტიკოსი ვუდის ახალ ფილმზე მსჯელობდა. წერდნენ: ფილმის დღის სეანსს მხოლოდ რვა მაყურებელი ესწრებოდაო. ერთი თვის შემდეგ კი ჩვენებიდან საერთოდ მოიხსნა, თუმცა, ჩამოფასებული ბილეთი სულ რაღაც 4,95 დოლარი ღირდა... ნათლად ჩანდა, რომ სტატიის ავტორებს ვუდი ალენის "ჩაძირვა" უნდოდათ: "მისი იუმორი 70-იანების ყინულებმა გაყინეს, მისი ხუმრობები ხანდაზმული ადამიანის უკბილო მასხარაობას დაემსგავსა". კრიტიკოსებმა ვუდის გარეგნობასაც დასცინეს. სტატიის ბოლო: "დრო, როცა მისტერ ალენი კულტურული ხატი იყო, დასრულდა". კინოკრიტიკოს პიტერ ბისკინგის შეფასებით, ეს სტატია ვუდი ალენის საჯაროდ ჩაქოლვის ტოლფასი იყო.

კინოს საკეთებლად ალენი იძულებული გახდა ინგლისში გადაბარგებულიყო. კარიერის დასასრულს მგავსი რამ შეემთხვა აკირა კუროსავასაც. თავის დროზე შვეციაში ფილმების გადაღებაზე ინგმარ ბერგმანმაც თქვა უარი. არც ჩარლი ჩაპლინს დავივიწყებთ. ტრაგიკული ორსონ უელსი კი იძულებული იყო ფირმა "გალოს" ღვინის რეკლამის შემოსავლით ეარსება.



კორეელ მეუღლესთან ერთად



კარიკატურა



დაიან კიტონთან ერთად

მაგრამ, რას იზამ. სამაგიეროდ, არც ერთ ხელოვანს ამერიკასა და მის ფარგლებს გარეთ არ შეუძლია დაიტრაბახოს ამდენი შესანიშნავი ფილმით. ყველაზე სუსტებიც კი ათი თავით მაღლა დგანან სტანდარტულ ჰოლივუდურ პროდუქციაზე. თანამედროვეებთან შედარებით ალენი ძირითადად "ათიანში" არტყამდა. ბობ რეფელსონისგან მხოლოდ ერთი ლენტა - Five Easy Pieces შემოგვრჩა, პიტერ ბოგდანოვიჩისგან - ორი (The Last Picture Show და Paper Moon) თითქმის ამდენივე ვილიამ ფრიდკინისგან The French Connection და The Exorcist და სხვ. ალენის 35 კინოფილმიდან კი ათმა მაინც გაუძლო დროის გამოცდას, მაგრამ ოფიციალურმა და კინემატოგრაფიულმა ამერიკამ ეს არაფრით დაუფასა.

ვუდი ალენი უმადურ ამერიკას ფილოსოფიურად უდგება (ან ასეთ როლს თამაშობს). ის მხოლოდ ასაკის მატებას განიცდის. მას 70 შეუსრულდა. "საშინელი რამ ყოფილა სიბერე, - ამბობს, - ნაკლები არჩევანი და შესაძლებლობები გაქვს. ფიზიკურად ბერდები და ნაწილებად იშლები. ბავშვობაში კარგი სპორტსმენი ვიყავი. ახლა?.. მხედველობა და სმენა მისუსტდება. რა სისულელე ყოფილა ეს ოქროს წლები, შვილიშვილი კალთაში და ეგეთები... არანაირი სიბრძნე არ მომმატებია. შეცდომებსაც იგივეს ვიმეორებ".

ალენი არც თავისი შემოქმედებითაა კმაყოფილი. "დიახაც, პრიმიტიულ ფილმებს ვიღებდი და ამიტომაც საკუთარ თავს "ოთხიანზე" შევაფასებდი," - აღიარებს. 1992 წელს ალენი აცხადებდა, რომ აუცილებლად შექმნდა შედევრს, მაგრამ დღეს ამის იმედი გადაეწურა. "რაც უფრო ვბერდები, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ასეთ ფილმს ვეღარ გადავიღებ. ინდუსტრიის ნებისმიერ სფეროში გენიოსები ცოტანი არიან, ქირურგია იქნება ეს, მხატვრობა თუ სხვა რამ. ახალგაზრდობაში გეჩვენება, რომ წინ დიდი დროა, დიდებისკენ ისწრაფი, რადგან გულდაწყვეტა შენთვის უცხო ხილია. თითქოს ფინალიც შორს არის, მაგრამ აგერ უკვე 70-ის ვხვდები! რა ვიცი, იქნებ გამიმართლოს და რაიმე ექსტრაორდინარულიც მოვიფიქრო. მეორე მხრივ მესმის, რომ ამ დონეზე "ვერ გავქაჩავ", მიუხედავად იმისა, რომ ამისკენ ყოველთვის ვისწრაფოდი. ჩანს, გენიოსობა გენებით არ დამყვა ან, უბრალოდ, ადამიანურობა მაკლია. ამ აზრს უკვე შევეგუე და შემიძლია თავისუფლად ვიცხოვრო," - ამბობს ხელოვანი.

ასეთი ფიქრები ალენს არ თრგუნავს. "დეპრესიულობაზე საუბარიც ზედმეტია. წარმოიდგინეთ, რომ ბერგმანთან და კუროსავასთან ერთ ოთახში მოვხვდი. მათ დიდება დაიმსახურეს, მაგრამ საბოლოოდ ყველა ერთ ადგილზე აღმოვჩნდებით. ხელოვნება ვერაფერს გვიშველის. ამიტომ გულში ვფიქრობ: რა არის ღირებული? ვთქვათ, კუროსავამ მითხრა, ეს მაგარიაო. მერე? მერე ის მაინც დაბრუნდება სახლში, შეჭამს კუთვნილი ბრინჯის ულუფას და მას დამარხავენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამით სამოთხეში მოხვედრის შანსს ვკარგავ. არ ვკარგავ. სიცოცხლეში უამრავი რამაა, რასაც ვერასდროს ველარ მივაღწევ. მაიკლ ჯორდანივით კალათბურთს ვეღარასდროს ვითამაშებ. ვერც კუროსავა-ბერგმანივით გადავიღებ კინოს."

თითქმის ოცი წლის განმავლობაში ამერიკას სჯეროდა, რომ ვუდი ალენი მისი ფელინი ან ბერგმანი გახდებოდა. ლეგენდარულმა კინომაგნატმა არტურ კრიმმა მას სრული შემოქმედებითი თავისუფლება მისცა ჯერ "იუნაიტედ არტისტში" და შემდეგ "ორიონ პიკჩურსში". ალენის აგენტი და ყოვლისშემძლე კრიტიკოსი სემ კონი მისი მფარველი ანგელოზი გახლდათ. პაულინ კილი და ენდრიუ სარისი ოდებს უმღეროდნენ, "ნიუ იორკ თაიმსის" მთავარ კინოკრიტიკოსს ვინსენტ კენბის ალენის ქებით ხმა ჩაეხლიჩა. კენბი წერდა: "ვუდი ალენი ჩვენთვის პირველი კინორეჟისორია..." მისი შემოქმედება მან კლასიკოსებს გაუტოლა. 1992 წელს კენბიმ ალენი ბერგმანს, ტრიუფოსა და ფელინის შეადარა: "ალენის შემოქმედება პირადული კინოა და ამერიკულ კინემატოგრაფიაში ტოლს ვერავინ დაუდებს". ვუდი ალენი თავად ნიუ იორკია! - ყვიროდნენ გაზეთები.

მაგრამ, სწორედ 1992 წელს გაუჩნდა ალენს პრობლემები. როგორც მაიაკოვსკი იტყოდა, "სიყვარულის ნავი ყოფამ დაამსხვრია". სამოქალაქო ქორწინებაში მყოფმა ალენის მეუღლემ და მსახიობმა მია ფეროუმ შემთხვევით 21 წლის ქალიშვილისა (მან ის იშვილა) და ქმრის პოლაროიდული ფოტოები აღმოაჩინა. ისინი ბუხარში დაემალათ. ატყდა გრანდიოზული სკანდალი, რომელიც მედიამ სიამოვნებით აიტაცა. ფეროუმ ალენი ნაშვილები შვიდი წლის გოგონასადმი სექსუალურ ლტოლვაშიც დაადანაშაულა. სასამართლო ალენის სასარგებლოდ დამთავრდა - ნიუჰენსის ჰოსპიტლის ექიმთა კონსილიუმმა დაამტკიცა, რომ ის პედოფილი არ იყო. თუმცა სამივე შვილი, მათ შორის მეუღლეების საერთო ვაჟი, 4 წლის სეტჩელი, სასამართლომ დედას მიაკუთვნა.

უნდა ითქვას, რომ ალენი არც ისე სამაგალითოდ მოიქცა, უფრო დაუდევრად. მაგალითად, "თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ "გულს სურს ის, რაც სურს". ალენის კარიერას საფრთხე დაემუქრა, რადგან მისი ფილმებისადმი სიყვარულს მისდამი სიყვარული განაპირობებდა. მან კი ეს სიყვარული დაკარგა. დღეს ალენი ამტკიცებს, რომ უკეთესი იქნებოდა სკანდალამდე გაყროდა ფეროუს. ის ბედნიერია, რომ ფეროუმ სურათები აღმოაჩინა, რის შემდეგაც სუნისა და მისი ურთიერთობა ღია კალაპოტში გადავიდა.

ერთი შეხედვით ალენის ცხოვრება არ შეცვლილა. მან კიდევ ორი ფილმი გადაიღო, დაწერა პიესა, ორშაბათობით თავის ჯაზ-ბენდთან ერთად კლარნეტზე უკრავდა. მერე გადაწყვიტა გადაეღო Mighty Aphrodite, სადაც ცოლის როლში მია ფეროუს გადაღება მოისურვა! ძლივს გადააფიქრებინეს. როლი ინგლისელ მსახიობს ჰელენ ბონომ კარტერს ერგო. ამავე წელს ალენმა გადაიღო თავისი საუკეთესო ფილმთაგანი "ტყვიები ბროდვეის თავზე". რეჟისურისთვის ოსკარზე იყო ნომინირებული, დიანა ვაიტმა კი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ვერცხლის სტატუეტი მიიღო.

მაგრამ, სკანდალი გრძელდებოდა. "რაც არ უნდა გავაკეთო, ყველაფერი ცუდია. "დიდი ილუზიები" ან "ველოსიპედის ქურდებიც" რომ გადავიღო, ხალხი მაინც იტყვის, ეს ნაგავიაო," - ჩივის ალენი. შემდგომი ფილმები ნაკლებად წარმატებული იყო. ვუდს მასმედია აღარ სწყალობდა. კენბი "თაიმსს" გამოემშვიდობა (და მერე სიცოცხლესაც). მისმა შემცვლელმა კინოკრიტიკოსებმა კი ალენის "კბენა" არ მოიშალეს. ახლა ის მეორე სკანდალში გაეხვია. ამჯერად სასამართლოში პარტნიორი და საპროდიუსერო კომპანიის მფლობელი ჯენეი დუმანი დაუპირისპირდა.

2000 წლიდან კი ამ ყველაფერს შემოქმედებითი წარუმატებლობებიც დაემატა. ალენი ჩქარობდა და ამის გამო მეორდებოდა. თუმცა, ფილმები არც ისე ურიგო იყო. მათ უბრალოდ სოციალური კომედიის თანმხლები დრამატიზმი აკლდათ. ეს ალენმაც აღიარა. "ასეთი კინოს შექმნა აღარ მინდა. ის უკვე ნაკლებად მაინტერესებს," - ამბობდა, მაგრამ არ აკონკრეტებდა, რატომ. შესაძლებელია მიასთან განშორებამ და სუნიზე ქორწინებამ გამოფიტა. ვინ იცის...

ზოგიერთი კინომცოდნე ალენის ფილმებს ავტობიოგრაფიულ ჟანრს მიაკუთვნებს. რეჟისორი ამას უარყოფს, მაგრამ უშედეგოდ... მაყურებელი მიიჩნევს, რომ ალენი საკუთარ თავს თამაშობს. ასე, თუ არა, ძნელი სათქმელია. ალენი საკუთარ თავში ჩაკეტილი პიროვნებაა, ასე თვლის მისი პროდიუსერი რიჩარდ ბრიკი.

სხვა კინომცოდნეები ფიქრობენ, რომ ალენი დროს ჩამორჩა და გასული საუკუნის 70-იანებში დარჩა. მაგალითად, ის არ მოიხმარს ნარკოტიკებს. "მარიხუანაც კი არასოდეს მომიწევია, არც კოკაინითა და ჰეროინით მისარგებლია, არც უძილობის აბები დამილევია. ნარკოტიკები საერთოდ არ მაინტერესებს. იქნებ ეს არის ჩემი დეპრესიის სიმპტომი (რას გაიგებ, ხუმრობს ვუდი თუ არ ხუმრობს). თუმცა, ეს არ არის დეპრესია, რომელიც ჰოსპიტლამდე ან თვითმკვლელობამდე მიმიყვანს... ერთმა ფსიქოანალიტიკოსმა სინანულით აღნიშნა, რომ ჩემგან მეტ გულახდილობას ელოდა, მე კი გამოცდილი ბუღალტერივით მოვექეცი. რა ვქნა, ჩემი ცხოვრება ასეთია, მოსაწყენი."

მოსაწყენი? კარგი რა, ვუდი!

ალენს უამრავი ფობია აქვს და ისინი გვაახლოებენ. ორივე ვიტანჯებით კლაუსტრაფობიისა და აგორაფობიისგან, ორივე ვერიდებით გვირაბებს. სოფლის ტიპის დასახლებაში ალენს ეშინია სიბნელის და კიდევ შხაპის, თუ ის ოთახის შუაგულშია მოქცეული. ის ცრურწმენის მახეშიცაა გაბმული. "სანამ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან, შარვალს არ ვიცვლი. ერთფეროვანი საუზმე მაქვს: უცხიმო რძე და ბანანი. ბანანს ზუსტად შვიდ ნაჭრად ვჭრი და თან ვითვლი, რომ არ შემეშალოს. რადგან ჩემი ცხოვრება ოკეია, არ გავრისკავ და ბანანს რვა ნაწილად არ დავჭრი".

როდესაც ვუდი კინოს არ იღებს, მისი ცხოვრებაც ჩვეულებრივია: დილაობით ვარჯიშობს, შემდეგ ბავშვები (სუნისგან) სკოლაში მიჰყავს, რაღაცებს წერს, უკრავს კლარნეტზე, ვახშმობს სახლში ან რესტორანში, უყვარს კალათბურთის ყურება და ადრე იძინებს.

"იმდენი ხანია კინოში ვარ, რომ ადამიანები ჩემგან დაიღალნენ. რა თქმა უნდა, ვცდილობ, მრავალფეროვანი ფილმები შევქმნა, მაგრამ მაინც მსაყვედურობენ, რომ მთელი კვირის განმავლობაში ჩინური საკვებით ვკვებავ! ამაზე ასე ვუპასუხებ: "კი მაგრამ, თქვენც ერთ დღეს ღორის ხორცი მიირთვით, მეორე დღეს - წიწილის, მესამე დღეს კი - ბრინჯი.... თავში ბევრი თემა მიტრიალებს, მაგრამ საბოლოოდ ჩინური სამზარეულო გამომდის".

კინოს დიდი ფული სჭირდება და მისი შოვნა თავად ალენს უხდება. ვუდის ფილმები დიდად გაყიდვადი არასოდეს ყოფილა. შედარებით წარმატებული იყო Hannah And Her Sisters და მან მხოლოდ 40 მილიონი დოლარი მოიტანა. როგორც წესი, მის ფილმებს მხოლოდ 5 მილიონამდე დოლარი მოაქვთ (როცა მათი წარმოება 15-20 მილიონი ჯდება). სწორედ ფულის უკმარისობამ ჩაიყვანა ალენი ნისლიან ალბიონში. ბრიტანელებმა ბოლო ორი პროექტი დაუფინანსეს. "ყოველთვის "იაფად გამოვდიოდი", სამაგიეროდ შემოქმედებითად თავისუფალი ვიყავი. ზოგჯერ ხარჯების ნახევარს საკუთარი ჯიბიდან ვიხდიდი. კინოს არ გავუმდიდრებივარ," - ამბობს ვუდი.

ვუდი უძრავმა ქონებამ გაამდიდრა. მეხუთე ავენიუზე თავისი პენტჰაუზი ალენმა 70-იან წლებში შეიძინა. მაშინ ღამის კლუბებში კომიკოსად მუშაობდა. პენტჰაუზში მან 600 ათასი დოლარი გადაიხადა - ჰონორარები და ტირაჟული სიმღერიდან შემოსული თანხა. 20 წლის შემდეგ კი 13 მილიონად გაყიდა. 1999 წელს ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად ზედა მანჰეტენზე, კარნეგი-ჰილის რაიონში, 17,9 მილიონ დოლარად ტაუნჰაუზი იყიდა. 2004 წელს მან ეს სახლიც 24 მილიონად გაყიდა და ნაქირავებ ბინაში გადავიდა.

"ჩემს კოლეგებთან შედარებით ღარიბი ვარ. მაგალითად, ბარბრა სტრეიზანდი ერთი ფილმით იმდენ ფულს აკეთებს, რამდენსაც მე ხუთით. კარგი იქნებოდა მეტი ფული მქონოდა, მაგრამ ვიღაცასთან, მაგალითად ჩემს დასთან, რომელიც მასწავლებლობს და სიძესთან - სკოლის დირექტორთან, ანდა დედაჩემთან - ყვავილების მაღაზიის გამყიდველთან შედარებით მდიდარი ვარ".

ბოლო ფილმში Match Point ვუდი ალენმა დიდი თანხა ჩადო. ფილმის მთავარი გმირი გაღარიბებული პროფესიონალი ჩოგბურთელია, რომელიც მდიდარ ოჯახს ეტმასნება და საბოლოოდ მორალური არჩევანის წინაშე აღმოჩნდება. ფილმმა კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურა და გასული წლის მაისში კანის ფესტივალზე წარმატება მოიპოვა. "ეს სერიოზული ფილმია. ასეთები დიდი ხანია არ გადამიღია. ცხოვრება უცნაურ გამოცდას გვიწყობს. შეიძლება ჩათვალო, რომ წარმატებაში მხოლოდ შენ მიგიძღვის წვლილი, მაგრამ ასე არ არის. ჩემი გმირი ცუდი ადამიანია, მაგრამ შეუძლია წარმატებული იყოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმეს კლავ, როგორც ეს ერთ-ერთი ფილმის გმირმა მარტინ ლანდეაუმ გააკეთა და არანაირ მორალურ გვემას არ განიცდი, შენთვის არც ღმერთი არსებობს და, შესაბამისად, არც არაფრის გეშინია. მე ღმერთი თითქმის არ მწამს. ბევრს ვფიქრობ უსამართლობაზე. ყოველდღიურად უამრავი დამნაშავე დაუსჯელი რჩება. ამ მხრივ ჩემი ბოლო ფილმი პესიმისტურია. მეც პესიმისტი ვარ, მაგრამ არა ცინიკოსი და მიზანთროპი".

...ვუყურებ კლარნეტიან ვუდის, რომელიც გამორთულ მიკროფონში მღერის. არ ვიცი ვინ პოზიორობდა როდენის "მოაზროვნისთვის", მაგრამ "პესიმისტისთვის" ვუდიზე უკეთეს ნატურას მართლაც ვერ ნახავდით.

თავის იუბილეზე ვუდი გულს არ იტეხს: "ქვეცნობიერად მგონია, რომ დიდხანს ვიცოცხლებ. მამაჩემმა 100 წლამდე იცოცხლა, დედაჩემმა - 96-მდე. თუ მათი გენები მაქვს, კინოში კიდევ 17 წელი უნდა ვიმუშაო. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ხვალ თავში როიალი მეცემა?"

იმედი მაქვს, რომ ასე არ მოხდება! ღრმა ხანდაზმულობასა და უკვდავებას კი მისი კინემატოგრაფიული გენები უზრუნველყოფენ.


## განცხადება

**სს "ქართული ბანკის" კრედიტორ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!**

სს "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი გთხოვთ ერთი თვის ვადაში გამოცხადდეთ "ქართულ ბანკში" მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. დოლიძის ქ. №2, თქვენს სახელზე გახსნილ ანგარიშზე რიცხული ფულადი თანხების მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თანხები ჩაითვლება მოუკითხავად და გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ტელ: 33-04-22; 33-30-42.



## აშშ სელჩო თბილისში

**2006 წლის 21 იანვარს და 11 თებერვალს**

**აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.**

21 იანვარს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი, მოწყობილობები და ფაილის კარადები.**

11 თებერვალს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯი და მოწყობილობები.**

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველი ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.** ცნობებისათვის დარეკეთ: 277000 შიდა 7201.

# საახალწლო ზღაპარი ტელეეკრანზე

ნინია კაკაბაძე

## შესავალი ან თავდაპირველად...

ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ წლევანდელ ახალ წელს, ზუსტად 12 საათზე, პირველად არ გვამცნეს ახალი წლის დადგომა. მკითხველი ალბათ რამდენიმე სავარაუდო პასუხს ელის, მაგრამ იმედი უნდა გაგიცრუოთ და გითხრათ, რომ არავითარი პასუხი არა მაქვს. ერთადერთი სავარაუდო პასუხი ის გახლავთ, რომ ჩვენი ტელევიზიები დემოკრატიისა და თავისუფლების მქადაგებელნი არიან და ამიტომ ჩვენც თავისუფალი არჩევანის საშუალება მოგვცეს - ვისაც როდის გინდათ, მაშინ მიიღეთ თქვენს სახლში ახალი წელიო. ჩვენც ასე მოვიქეცით.

სამაგიეროდ საახალწლო გადაცემებით გვცეს პატივი. ჩემთვის პატივცემულმა კრიტიკოსმა ერთ-ერთ ჟურნალში საახალწლოდ უცხო ქვეყანაში თავისი გამგზავრების მიზეზად უნიჭო საახალწლო გადაცემები დაასახელა. რასაკვირველია, მიზეზი ოდნავ უტრირებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, აბსოლუტურად ვეთანხმები - ქართული ტელევიზიები განსაკუთრებით აუტანლად მაშინ გამოიყურებიან, როდესაც ყველაზე მეტად მოინდომებენ ხოლმე და დროს, ენერგიას თუ ფინანსებს არ იშურებენ. ჩვენი რეალური სახეც სწორედ მაშინ ჩანს. ახალი წლის ღამეს, ვისაც ჯერ ქათმის გრიპი არ შეჰყრია და მის რეჟიმში არ გადასულა, სხვა რა დარჩენოდა, ტელეეკრანიდან მოწოდებული საზეიმო განწყობით უნდა დაკმაყოფილებულიყო და დამტკბარიყო. მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები. ახალ წლამდე კი, მოზღვავებული სატელევიზიო ანონსების მეშვეობით, შეგვეძლო ჩვენი არჩევანი გაცილებით ადრე, 31 დეკემბრამდე გაგვეკეთებინა. ჰოდა, ვიდრე უსაფუძვლო ნარცისიზმით შეპყრობილი ტელეკომპანია "მზე" მღეროდა და მისთვის სხვებსაც ამღერებდა შენობის კიბეებზე, ტელეკომპანია "იმედი" კი ახლებურ და ოდნავ უცნაურ ქველმოქმედებას ეწეოდა, ჩემი არჩევანი ისევ "რუსთავი 2"-ზე შეჩერდა (ყველა გადაცემის ერთდროულად ნახვა არც ჩემთვის იყო შესაძლებელი). ვიდრე ნანახ საახალწლო გადაცემას განვიხილავდეთ, ერთი პატარა დეტალი.

ქართული ტელესივრცის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ ზაზა შენგელიამ ახალ თუ ძველ ტელეკომპანიებს ერთი აუცილებელი ტრადიცია დაუტოვა, რაც უკვე დაუწერელ კანონადაც კი იქცა: თანამშრომლებმა ერთად იმღერეთ თქვენი ტელევიზიის ჰიმნი. როგორც აღმოჩნდა, არც პოლიტიკოსები და არც ჟურნალისტები ჩვენი ესტრადის ვარსკვლავებზე უარესად არ მღერიან, მაგრამ მაინც გაუგებარია, რა სასიამოვნოა მათი უსასრულოდ მოსმენა. თანამშრომელთა ჰიმნები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ტელეკომპანია "მზის" სიმღერა, კიდევ ერთი საეჭვო ღირებულების დანამატია ქართული ტელეჰიმნების ისტორიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ 2006 წლიდან "მზეც" სრულუფლებიანი წევრი გახდება ქართული, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელი ტელევიზიების ნუსხაში.

ახლა კი ის საახალწლო გადაცემა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო და რომელიც ჩემი სტატიის მთავარი გმირია.

## ქვეტექსტი ან ინტროტექსტი

ეს პროექტი პირველად არ განხორციელებულა და მისი ავტორები ამჟამად რადიო "უცნობისა" და სტუდია "ქართული ჩანაწერების" დამფუძნებლები არიან. აქამდე, სამი წლის განმავლობაში, პოლიტიკოსთა და მომღერალთა დუეტები საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გადიოდა. წელს ოდნავ განახლებული ფორმით მან "რუსთავი 2"-ზე გადაინაცვლა, რაც გარკვეულწილად სიმპტომურია. სიახლე კი ის გახლავთ, რომ თუ აქამდე დუეტებს მხოლოდ კონცერტის სახით ვისმენდით, წელს ეს რეპორტაჟი კონცერტიდან საინფორმაციო გამოშვება "კურიერში" გადიოდა. "კურიერი" მისი ჩვეული მუსიკით, ფონით, სტუდიით, ტიხრებით - მხოლოდ ახალი წამყვანებით. წამყვანები "კურიერისთვის" არიან ახლები, თორემ მათ ხმას ქართველი მაყურებელი ღრმა ძილშიც კი ამოიცნობს; ჯულიეტა ვაშაყმაძე, დავით სოკოლოვი, ლია მიქაძე, დონარა კუნწურაშვილი, ნუგზარ ჯუღელი და ა.შ. ეს პატივცემული ამხანაგები ჩვენ, ტექსტუალური მასალის გარეშეც, კომუნისტურ ეპოქაში გადაგვისვრიან. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩანაფიქრიც ასეთი იყო, კომუნისტური ეპოქის იმიტირება. უცნობია, რადიო "უცნობისა" და "რუსთავი 2-ის" ერთობლივ პროექტში ვინ იყო ამ იდეის ავტორი, მაგრამ ყველა შემთხვევაში არ შეიძლება არ დავაფასოთ ზემოხსენებული ტელეკომპანიის თვითკრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. შეუძლებელია, "რუსთავი 2-ის" ხელმძღვანელობას ამ საახალწლო გადაცემის ფორმა მხოლოდ იუმორისტულ ჟანრად აღექვა და მის მიღმა მაყურებელში გაჩენილი საფუძვლიანი ასოციაციები წინასწარ არ განეჭვრიტა. ამიტომ არ შეიძლება პროგრესული ნაბიჯი არხს და



მის ხელმძღვანელობას არ მოვუწონოთ. სამწუხარო მხოლოდ ის გახლავთ, რომ იქ წარმოთქმული ფრაზები არცთუ ისე უცხოდ ისმოდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ მთლიან შეუსაბამობაში მოდიოდა თანამედროვე საქართველოსთან. თუ მედიაში ობიექტური ინფორმაციის გადაცემის პრობლემა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო დგას, "რუსთავი 2-მა", როგორც ეტყობა, ალეგორიული სტილი არჩია და ახალი წლის პირველ საათებში ობიექტურად შეაფასა ქვეყანაც და საკუთარი თავიც. ამას ვაფასებთ, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მედია არ გახლავთ ის სივრცე, საიდანაც მაყურებელს, მსმენელს თუ მკითხველს ალეგორიულ ან იგავურ სტილში ქვეტექსტებით უნდა ვესაუბროთ.

## სინამდვილე ან სიმართლე

სასიამოვნო და კარგი იყო, რომ ვიდრე ზემოხსენებული დუეტების საკონცერტო ვერსიას ვიხილავდით, ფრაგმენტების სახით ამ მუსიკალური ნომრების ჩაწერის კადრებსაც გვთავაზობდნენ. აქ მაყურებლისთვის კიდევ ორი სიმართლის დადგენაც გახდა შესაძლებელი. პირველი ის, რომ მონაწილეები არც ისე კარგად მღერიან, როგორც ეს ჩანს და ისმის. და მეორე, არა მხოლოდ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები თუ უბრალოდ ცნობადი სახეები არ ფლობენ განსაკუთრებულ ვოკალურ მონაცემებს, არამედ არც თავად მომღერლები. მგონი თანამედროვე მუსიკალური ტექნოლოგიების შეცნობა და შეფასებაც ყველამ შეძლო. მთავარია ღმერთმა ყრუ-მუნჯად არ გაგაჩინოს, დანარჩენს ახალი აპარატურა თავისით გააკეთებს და ყოველ ჩვენგანს საამურ ხმას მოგვცემს, პოპულარულ შემსრულებლად გვაქცევს. თანამედროვე ტექნოლოგიებმა, ამხანაგი კობა ხაბაზის გარდა, ყველაზე გაიმარჯვა. ალბათ ამიტომაც მოხდა, რომ ყველაზე დასამახსოვრებელი, სასაცილო და საინტერესო მისი და ამხანაგი ნინას სიმღერა გახლდათ. თუ ხაბაზი უნებლიეთ ხუმრობს, მგონი მიზანმიმართულად იხუმრა გაერთიანებულმა ოპოზიციამ და ჭიჭიკოსა და ბიჭიკოს ცნობილი ჰიტი არანაკლებ სასაცილო და იუმორისტულ ჟანრში გადაწყვიტა. თუ ოთხწლიანი სტაჟის ეს საახალწლო პროექტი მომავალში არსებობას გააგრძელებს, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ მთელი გადაცემა მეტად იუმორისტულ ნიშას მოირგებს და ნაკლებად წარმოგვიდგენს ყელმოღერებულ პოლიტიკოსებსა თუ ჟურნალისტებს, რომლებიც სიამოვნებით, მაგრამ არადამაჯერებლად ირგებენ ახალ ამპლუას.

## პოლიტიკა და პოლიტიკოსები

უკანასკნელი 15-წლიანი დაკვირვების შედეგად ერთი ძალიან მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება - საქართველოში ჯერ კიდევ ყველაზე აქტუალურია პოლიტიკა და პოლიტიკოსები. კი ჩაგვძახიან, ქვეყანა ლაგდება და უბრალო მოსახლეობისთვის პოლიტიკა საინტერესო აღარ არისო, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამაში ახალი წლის ღამესაც დავრწმუნდებოდით ნებისმიერი ტელევიზიის ეთერით. ეს საახალწლო გადაცემები მოსახლეობისთვის მზადდება და არა იმ ერთეულებისთვის, რომლებიც ღამეს სახლს გარეთ ატარებენ. საკმაოდ აპრობირებული და მრავალჯერ ნაცადი ხერხია პოლიტიკოსის, მთავრობის წევრისა თუ უბრალო ჩინოვნიკის განსხვავებულ ამპლუაში წარმოდგენა. მაშინ, როდესაც მათ ვუმზერთ სიმღერის, ცეკვის ან უბრალოდ ტაკიმასხარაობის პროცესში, რასაკვირველია, მაყურებელში დადებითი ემოცია სჭარბობს უარყოფითს. იმ დროს მათ ყველა "ცოდვას" ვპატიობთ და ჩვენი გული სიყვარულით ივსება: - რა სასაცილოა, რა საყვარელია, რა ბავშვურია... როგორც ბავშვი ნებისმიერი მუსიკალური თუ თეატრალიზებული ნომრის შესრულებისას ჩვენს მოწონებას იმსახურებს, ასევე ვტკბებით ყოველწლიურად პოლიტიკოსთა ანცობით. მაშინ, როდესაც ამგვარი ხრიკები სისტემატურ ხასიათს ატარებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ ჩვენი გულის მოსაგებად ხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკოსებიც ყველაზე საინტერესო ფიგურებად რჩებიან თანამედროვე საქართველოში და არც ქართულ ტელეარხებს ჰყოფნით ფანტაზია იმისთვის, რომ საეთერო ბადე ახალი წლის ღამეს მაინც გაათავისუფლონ პოლიტიკისგან. რატომ არ შეიძლება, თუნდაც ამგვარ დუეტებში ხალხისთვის საყვარელი მსახიობები, რეჟისორები, გნებავთ ჟურნალისტები და სხვა ცნობადი სახეები, ე.წ "ფეისები" მონაწილეობდნენ და არა პოლიტიკოსები.

## დაბოლოს

მაშინ, როდესაც ძველი და ახალი სტილითაც ახალი, 2006 წელი უკვე ნამდვილად დადგა, თამამად შეიძლება ქართული ტელეარხების მაყურებლებს გაცილებით დახვეწილი, გემოვნებიანი, საინტერესო და მრავალფეროვანი სატელევიზიო გადაცემები ვუსურვოთ და, რაც ყველაზე მთავარია, არა "კომუნისტური" მომავალი და იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი იგავურ-ალეგორიული, არამედ რეალისტურ-ნატურალისტური სტილი, რომელიც არ გამოიხატება "შემთხვევის ადგილზე დაფიქსირებული სისხლის გუბეებით".

# ლაშა და კალენდარი

FM უცნობი 92.0

**ლაშა ბუღაძე**: დიალოგების თემაა ახალი და ძველით ახალი წლები - პრობლემა და საკითხი, რომლის გარშემოც გაუთავებლად მიმდინარეობს პოლემიკა, დისკუსიები. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის თვალსაზრისით გასაგები უნდა იყოს, რასთან გვაქვს საქმე, კითხვები მაინც ებადება საზოგადოებას. მაგალითად, რატომ გვილოცავს პატრიარქი 31 დეკემბერს ახალი წლის დადგომას, როცა ლოგიკურად იგი შობის შემდეგ უნდა დადგეს. საერთოდ, ძალიან მაბნევს ეს მოძრავი და ცვალებადი კალენდრები და მგონია, რომ მე გამონაკლისი არ უნდა ვიყო. ჩვენი სტუმრები არიან ბატონი რეზო ჩხეიძე და ქალბატონი თამარ ჭოხონელიძე.

**რეზო ჩხეიძე**: საზოგადოებას არ უნდა ეგონოს, რომ საეკლესიო ახალი წელი 14 იანვარია. ეს მხოლოდ ახალი კალენდრის მიხედვით. ძველი კალენდრის მიხედვით რელიგიური ახალი წელი პირველ სექტემბერს დგება.

**თამარ ჭოხონელიძე**: მე დამდეგ ახალ წელს გილოცავთ. ვფიქრობ, ხალხი 1 იანვარსაც ზეიმობს და 14 იანვარსაც. ისე კი, მეცნიერებამ ახლა დაიწყო მხოლოდ ამ კალენდართან და ორ განმასხვავებელ კვირასთან ბრძოლა და შესაძლებელია ეს თარიღები სულ მალე ისევ გამთლიანდეს და ერთმანეთს დაემთხვას. თუმცა, არ ვიცი, რამდენად მოხდება ეს. ისე კი, ქართველ კაცს არასდროს ულხინდა და ამიტომ ზედმეტად თავის გამხიარულებაზე არ ამბობდა უარს. რა მოხდება, თუ ორჯერ ვიზეიმებთ ამ თარიღს? პირადად მე ძალიან მიხარია ხოლმე, როცა თამარობას ორჯერ მილოცავენ. მგონია, რომ ყველაფრის გართულება და ყველაფრისგან პრობლემის შექმნა არ ღირს, მარტივად უნდა შევხედოთ ამ ყველაფერს.

**ლაშა ბუღაძე**: გეთანხმებით, ზეიმს რა ჯობია, მაგრამ ნაკლებად არის ხოლმე განწყობა იმისა, რომ უფალი იბადება სულში. ძირითადად მთელი თვე ღრეობა მიმდინარეობს ხოლმე.

**რეზო ჩხეიძე**: მინდა ვთქვა, რომ, მაგალითად, როცა 7 იანვარს მღერიან "ოცდახუთსა დეკემბერსა..." ეს სრულიად ლოგიკურია, რადგან 25 დეკემბერი, ქრისტეს შობის დღე ჩვენთან კალენდარულ 7 იანვარს დგება.

**თამარ ჭოხონელიძე**: თუმცა მაინც კარგი იქნებოდა, რომ იმ 7 იანვარს ჩვენთანაც 25 დეკემბერი ერქვას. ეს სიტყვიერი მასალა იმდენად არის საუკუნეებით გამჯდარი ყურში, რომ შეჩვევის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს.

**ლაშა ბუღაძე**: მაგრამ არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ საზეიმო თვეს მოქვს. ცნობილია, რომ ამ დღეებში განსაკუთრებით გახშირდება ხოლმე ავტოავარიები. ხალხი მთელი იანვრის მანძილზე სრულ თავისუფლებას ეძლევა და პასუხისმგებლობის გრძნობაც ძალიან სუსტდება.

**თამარ ჭოხონელიძე**: ის, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაკლია, ზომიერების გრძნობაა. ყველაფერში, სიყვარულსა და სიძულვილშიც კი რადიკალები ვართ. საერთოდ დავკარგეთ ზომიერების გრძნობა.

**მსმენელი**: ცნობისთვის, საქართველოს რეგიონებში უმეტესად 14 იანვარს ზეიმობენ. როგორ უყურებთ მართლმადიდებლობის როლს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მაშინ, როცა გარკვეული წრეები მის სხვა კონფესიებთან გათანაბრებას ლამობენ საქართველოში? როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ საერთოდ?

**რეზო ჩხეიძე**: მე მთლიანად ვიზიარებ ამ შეკითხვის პათოსს. ამის შესახებ არის საუბარი პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში. შეუძლებელია ავიღოთ ის რელიგიურ-აღმსარებლური ფორმაცია, რომელიც თუნდაც აშშ-ში არის. თავის დროზე იქ ჩავიდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანები და მათი რელიგიური სიჭრელის თავისუფლება გასაგები და ლოგიკურია. მათი კულტურა უკვე ჩამოყალიბდა რელიგიური ნაკრებიდან. საქართველოში ასე არ ყოფილა და ეს გამორიცხულია, ყოველ შემთხვევაში ამჟამად. რა მოხდება რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, სხვა საქმეა. ამას წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ. ქართული კულტურა მთლიანად არის ნაშენი მართლმადიდებლური სარწმუნოების ქადაგებაზე. ამიტომ რაც კონსტიტუციაში გვიწერია - კანონი მართლმადიდებლობას ანიჭებს გარკვეულ უპირატესობას, მე ამის მომხრეც არ ვარ. სრული უპირატესობის ღირსია ჩვენი აღმსარებლობა, რადგან ოდითგანვე ასე იყო, ჩვენ და ჩვენი აღმსარებლობა განუყოფელნი ვართ. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს სხვა აღმსარებლობის ადამიანებისადმი, მაგრამ როცა შობის ღამის წირვა-ლოცვა საზოგადოებრივ არხზე პირდაპირი ტრანსლაციით გადიოდა და მის ხელმძღვანელობას გარკვეული რეპლიკა გაუკეთებია, რომ კათოლიკური ეკლესიის საზეიმო წირვა არ უჩვენებიათ ეთერში და რა აუცილებელი იყო ტრანსლაცია სამებიდან, ეს უკვე არა ანტიმართლმადიდებლური, არამედ ანტიქართული მოვლენაა. მე ვხედავდი, საზეიმო განწყობის ნაცვლად როგორი შეშფოთებული სახეებით იდგა ტაძარში მრევლი.

**ლაშა ბუღაძე:** მთლიანად გეთანხმებით, მაგრამ ქართველი კათოლიკეც ხომ საქართველოს მოქალაქეა...

**რეზო ჩხეიძე**: რა თქმა უნდა. კათოლიკური ეკლესიები ყოველთვის კარგად გრძნობდნენ ჩვენთან თავს და დღესაც ასე უნდა იყოს. მე მყავდა კათოლიკე მეგობრები და ჩვენს ისტორიას ახსოვს ისეთები, რომლებიც არ იყვნენ მართლმადიდებლები, მაგრამ იყვნენ დიდი ქართველები. მე კატეგორიულად არ ვარ დაპირისპირების მომხრე, მაგრამ საქართველოში პირველობას მაინც ნუ შეგვეცილებიან. ისე კი, დაპირისპირების პროვოცირებას ყოველთვის გარეშე ძალები ახდენენ, რადგან ყველას არ სიამოვნებს ის ერთიანობა, რომლისკენაც ქართველი ერი უნდა წავიდეს. ქართული სულის მთლიანობის დაშლა კიდევ უფრო დიდი დარტყმაა, ვიდრე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წართმევა, მოწყვეტა. საერთოდ, ეს სულიერი აშლილობა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ XX-XXI საუკუნეების მიჯნის მსოფლიოსთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

**ლაშა ბუღაძე**: დიახ, ეს გამოჩნდა ხელოვნებაში, ლიტერატურაში...

**რეზო ჩხეიძე**: თუნდაც კინემატოგრაფში, სადაც ფარდა ახადეს იმ ყველაფერს, რისი გახსნაც არ შეიძლებოდა, რადგან დაირღვა ადამიანური სილამაზე. გასაგებია, რომ ეს გამიზნული ბოროტებაა.

**თამარ ჭოხონელიძე**: მაგრამ აქ მთავარია ჩვენ სად ვართ და რას ვაკეთებთ.

# იუდას რეაბილიტაციას იწყებენ

ცნობილი ჟურნალისტი და რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაახლოებული პირი იუდა ისკარიოტელის ავტორიტეტის გამოკეთებას და მის რეაბილიტაციას იწყებენ. როგორც ბრიტანული გაზეთის The Times-ის ერთ-ერთი სტატია ხსნის, ვატიკანი ამ თამამ ნაბიჯს ორი მიზეზით დგამს. პირველ რიგში იუდას საკითხის გადახედვა და მისდამი აზრის გარკვეულწილად შეცვლა გარკვეული დოქტრინების შესუსტებასაც გამოიწვევს და მეორე, ამ პროცესმა მეტნაკლებად უნდა მოხსნას დაძაბულობა, რომელიც კათოლიკეებსა და იუდეველებს შორის არსებობს. მიუხედავად ამ საკმაოდ აბსურდული მსჯელობისა, ფაქტია, რომ ამგვარი მოსაზრებები დღეს, როგორც ჩანს, საკმაოზე მეტად აქტუალურია.

ვატიკანში წამოწყებული ამ ახალი კომპანიის სათავეში ვატიკანის ისტორიულ მეცნიერებათა კომიტეტის თავჯდომარე ვოლტერ ბრანდმიულერი დგას. მას უკვე ნახსენები ჟურნალისტი ვიტორიო მესორი დაეხმარება. ეს უკანასკნელი საკმაოდ ცნობილი მწერალიც გახლავთ, რომელიც არა მხოლოდ ახლანდელ პაპს, არამედ იოანე-პავლე II-საც ემეგობრებოდა.

მესორე უკვე საკმაოდ ვრცელ ინტერვიუებსაც აძლევს ადგილობრივ პრესას, სადაც იუდასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრობს. მისი თქმით, მაცხოვრის დამსმენი მოციქულის რეაბილიტაციის საქმე პირველ რიგში ნათელს გახდის ქრისტეს მიერ გამოჩენილ მოწყალებას იუდას მიმართ, რომელსაც დღეს მრევლი მთლიანად უგულებელყოფს. ინგლისური სტატიისგან განსხვავებით, ეს არგუმენტი ნამდვილად დამაჯერებელია და სინამდვილეს არცთუ ისე მოკლებული. მონსენიორ ბრანდმიულერი კი მრევლის ყურადღების მიპყრობას სწორედ იმ ფაქტზე აპირებს, რომ იუდას საქციელის გარეშე არ იქნებოდა არც ჯვარცმა და მაცხოვრის აღდგომა. აქედან გამომდინარე, იუდა და მისი დანაშაული მხოლოდ ნაწილია უფალი-ღმერთის ჩანაფიქრისა, რომელიც ძე-ღმერთის სიკვდილისა და აღდგომის გზით კაცობრიობის გადარჩენას ემსახურებოდა.



ვატიკანის წარმომადგენლების აზრით, იუდასადმი, როგორც მაცხოვრის მოღალატისადმი მკვეთრად ნეგატიური განწყობა ხელს უწყობს ანტისემიტური დამოკიდებულებების გაღვივებას. ამიტომაც კომფესიებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება ახალი ინიციატივის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი გახლავთ.

თავად მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იუდა მსხვერპლი იყო იმ მისიისა, რომელიც ძე-ღვთისამ კაცობრიობის გადასარჩენად იტვირთა, არც ახალი გახლავთ და არც ვატიკანის მეგობარი ჟურნალისტის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს. ამ საკითხზე მეტნაკლებად ალბათ ყველა ქრისტიანს უფიქრია და არა მხოლოდ კათოლიკეს. მიუხედავად ამისა, იუდას რეაბილიტაცია, რაც თეორიულ-თეოლოგიურ კვლევას დაეფუძნებოდა და რომელიც დღის წესრიგში ასე სერიოზულად დადგებოდა, არ გვახსოვს და არც მომხდარა.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც არცთუ ისე განყენებულ თემად გვეჩვენება. ვარაუდობენ, რომ ამ სვლით ვატიკანი რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მრევლს იუდას სახარების პირველი პუბლიკაციისთვის ამზადებს. სწორედ იმ აპოკრიფული ტექსტის წასაკითხად, რომელიც XX საუკუნის შუა ხანებში ეგვიპტეში აღმოაჩინეს.




Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. მუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. დამწვრობისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

ყურადღება!
რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

გამაჯანსაღებელი ცენტრი
ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







სიახლე
გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სარეგისტრაციო №1/17/13/40/1. მპოვნელს ვთხოვთ დარეკოს შემდეგ ნომერზე: **22-35-98**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კონტროლის პალატა აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. შესყიდვის ობიექტი - საავტომობილო საწვავი (ბენზინი), რაოდენობით - 95000 ლიტრი (სატალონო მომსახურება ბენზოგასამართი სადგურებიდან).

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი - 220101107, სახაზინო კოდი - 302003000, ანგარიშის № 200122900. გადახდის დანიშნულებაში მიუთითოთ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის ქ. № 96, ოთახი № 514, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

3. მიწოდების ადგილი: სატალონო მომსახურება ქვეყნის მასშტაბით არსებული ბენზოგასამართი სადგურებიდან.

4. მიწოდების ვადები: ყოველთვიურად მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 01.03.06-დან 31.12.06-მდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 7 თებერვლის 17 საათამდე მისამართზე - ქ. თბილისი, ქ. წამებულის № 96.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობას საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) საწვავის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო წინადადებისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: კახაბერ კირტავა, ტელ. 78-81-12.

*სატენდერო კომისია*


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კონტროლის პალატა აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. შესყიდვის ობიექტი - საავტომობილო საწვავი (ბენზინი), რაოდენობით - 95000 ლიტრი (სატალონო მომსახურება ბენზოგასამართი სადგურებიდან).

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი - 220101107, სახაზინო კოდი - 302003000, ანგარიშის № 200122900. გადახდის დანიშნულებაში მიუთითოთ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის ქ. № 96, ოთახი № 514, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

3. მიწოდების ადგილი: სატალონო მომსახურება ქვეყნის მასშტაბით არსებული ბენზოგასამართი სადგურებიდან.

4. მიწოდების ვადები: ყოველთვიურად მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 01.03.06-დან 31.12.06-მდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 7 თებერვლის 17 საათამდე მისამართზე - ქ. თბილისი, ქ. წამებულის № 96.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობას საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) საწვავის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო წინადადებისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: კახაბერ კირტავა, ტელ. 78-81-12.

*სატენდერო კომისია*


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, სპორტის სასახლის ფასადის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VII კორპუსის ფასადის, მეჩეთის ფასადის, შ. რუსთაველის სახელობის თეატრის ფასადის, რუსთაველის გამზ. N15-ში მდებარე შენობის ფასადის, საქართველოს იუსტისციის სამინისტროს ფასადის, პუშკინის ქუჩა N10-ში მდებარე შენობის ფასადის არქიტექტურული განათების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 7 პოზიციად (ლოტად): 1. სპორტის სასახლის ფასადის არქიტექტურული განათება 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VII კორპუსის ფასადის არქიტექტურული განათება 3. მეჩეთის ფასადის არქიტექტურული განათება. 4. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის ფასადის არქიტექტურული განათება 5. რუსთაველის გამზ. N15-ში მდებარე შენობის ფასადის არქიტექტურული განათება 6. საქართველოს იუსტისციის სამინისტროს ფასადის არქიტექტურული განათება 7. პუშკინის ქუჩა N10-ში მდებარე შენობის ფასადის არქიტექტურული განათება.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: აპარატურის შესყიდვა, მეტალზე ჩასატარებელი სამუშაოები (კორპუსების, კრონშტეინების წარმოება), სამონტაჟო სქემების დამუშავება და ინსტალაცია, აპარატურის და შემადგენელი კომპონენეტების დასამონტაჟებლად მომზადება და მონტაჟი.

*2*. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 15 მარტი.

***3***. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2005 წლის 7 თებერვლის 12 საათიდან 2006 წლის 8 თებერვლის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

***5***. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

***6.*** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 იანვრიდან 7 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***7.***ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

***8.*** ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

***9.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქალაქის ტერიტორიაზე სანიაღვრეს სისტემების (არხები, მილები და ჭები) მიმდინარე შეკეთების და მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 6 თებერვლიდან 2005 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 6 თებერვლამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქალაქის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, სკვერების, შენობა-ნაგებობების ფასადების განათებასა და ექსპლუატაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 6 თებერვლიდან 2005 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ვ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 6 თებერვლამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში გოგებაშვილისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩებზე გზის გამყოფი ზოლების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** გოგებაშვილის ქუჩაზე გზის გამყოფი ზოლის მოწყობის სამუშაოები.

**ლოტი N2** ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე გზის გამყოფი ზოლის მოწყობის სამუშაოები.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ივნისამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 6 თებერვლიდან 2005 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

